ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 4 (9)

15 II 1991


## საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრის ინფორმაცია

მიმდინარე წლის 10 თებერვალს კინემატოგრაფისტთა სახლში გაიმართა საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების რეგიონული ორგანიზაციების გამგეობის წევრთა შეკრება. განიხილეს ორი ძირითადი საკითხი:

1. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნებისათვის მზადების შესახებ;

2. პრეფექტისა და პრეფექტურის, როგორც გარდამავალი პერიოდის ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი ბატონი ვახტანგ ჭითავა.

შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ბატონმა ზვიადმა ისაუბრა რესპუბლიკაში არსებულ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. ხაზი გაუსვა ცენტრის დესტრუქციულ პოლიტიკას, რომელიც ცდილობს ეროვნული უმცირესობის ცალკეული ჯგუფების წაქეზებას და არმიასთან ერთად მათ დაპირისპირებას ქართველ მოსახლეობასთან, რესპუბლიკის ხელისუფლებასთან. ითქვა, რომ სამწუხაროდ, კრემლის ამ მზაკვრულ პოლიტიკას თავისი „პოლიტიკური აქტივობით" ხელს უწყობენ ჩვენი თანამემამულეებიც. ისინი, ვითომდა „ეროვნული პოლიტიკური მოტივებით" სპეკულირებენ და ამით დესტაბილიზაციას, საბოტაჟს უწყობენ ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას. ადგილი აქვს მოვლენებისა და ფაქტების გაყალბებას, საზოგადოების დეზინფორმაციას.

შეეხო რა საპრეფექტურო ინსტიტუტის შემოღებას, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დამსწრეთ მოუწოდა რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან პრეფექტის თანამდებობაზე წამოაყენონ ხალხის ნდობით აღჭურვილი პიროვნებები. ვინც ადგილებზე უცილობელი ავტორიტეტით სარგებლობს, მხოლოდ ის შეძლებს რეგიონში სახელმწიფო ინტერესების დაცვას, ადგილობრივი მაფიის ალაგმვას, დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებას.

შეკრებილთ მიმართა საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრმა თემურ ქორიძემ. ბატონმა თემურმა აღნიშნა, რომ დღეს ხალხი და ხელისუფლება ერთადაა. მათ შორის განხეთქილების მცდელობა არის ერთადერთი საშუალება საქართველოში ეროვნული მოძრაობის დასუსტებისა. მსგავსი ტენდენციები შეინიშნება ე. წ. „საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის" საქმიანობაში. საჭიროა მათი საბოლოო მხილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებზე ისაუბრა ბატონმა ვახტანგ ჭითავამ. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია საკრებულოებში ავირჩიოთ ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლები. სასურველია ისინი პროფესიონალები, კარგი სპეციალისტები იყვნენ.

საკრებულოთა არჩევნებისათვის მზადების შესახებ ისაუბრა საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრმა, ბატონმა ავთანდილ რცხილაძემ. მან ხაზი გაუსვა არჩევნებში გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობას ეროვნული პარლამენტის მიერ დაწყებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრაში.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევის ძირითად პრინციპებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციის გამგეობის წევრმა, ბატონმა არჩილ მაკარიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი, ბატონი კოკა გაწერელია; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ბატონი იური ბურკაძე.

პასუხი გაეცა ჰელსინკის კავშირის რეგიონულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეკითხვებს, იყო აზრთა გაზიარება, კამათი.

შეკრების მონაწილეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

10.02.1991.

## მსგავსი პოზიცია თუ ოპოზიცია?

ახლახან საინფორმაციო საშუალებებით გვეუწყა, რომ იქმნება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვას. მათი პროგრამისა და წესდების შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით, მაგრამ დაგვაფიქრა ჩვენს საზოგადოებაში თავჩენილმა სულ ახალი და ახალი ორგანიზაციების შექმნის დაუოკებელმა მისწრაფებამ. ეს ერთი მუჭა საქართველო იშლება და ნაწილდება უამრავ პოლიტიკურ პარტიად, კავშირად, ასოციაციად, კომიტეტად, საზოგადოებად, კომისიად, ჯგუფად და ვინ მოთვლის, კიდევ რად.

ახლა, როცა ხელისუფლების სათავეში ჭეშმარიტად ეროვნული, ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა მოვიდა, როცა იქმნება პრეფექტურა, მალე აირჩევენ საკრებულოებს და მთლიანობაში ქვეყნის მართვა-გამგებლობა გადავა ერის რჩეულთა საიმედო ხელში, ხომ არ გახდება ხელისშემშლელი, ან იქნებ დამღუპველიც, ასე მომრავლებული შეზაყოფილობითი გაერთიანებები, რომლებიც მეტწილად არავითარ თვითკონტროლსა და მით უფრო — საზოგადოებრივს არ ემორჩილება. რა გახდა, რითი ვერ მოვარგეთ ჩვენი ინტერესები, მისწრაფებები და შესაძლებლობები უკვე არსებული ასამდე პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრულ მიზნებს. ხომ არ ივარაუდება ამ შემთხვევაში იმგვარი ტენდენცია, როცა პირველობისა და გავლენის მოპოვების ჟინი აღემატება ჭეშმარიტად სასიკეთო საქმეთა კეთების სურვილს? ახალი სახელწოდებების მოგონების დაუცხრომელი ფანტაზია და შემოქმედებითობაც რომ თითქმის ამოიწურა, პარალელიზმი მოვიშველიეთ. ჩვენ არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ იმ ჯგუფის ჭეშმარიტ მიზნებში, ადამიანთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა რომ განუზრახავთ, მაგრამ საფიქრებელია, მათი მოქმედება გარკვეულ უხერხულობას, ან სულაც დაპირისპირებას ხომ არ შექმნის საყოველთაოდ აღიარებულ, სოლიდური სტაჟისა და პრესტიჟის მქონე საქართველოს ჰელსინკის კავშირთან, რომლის მოღვაწეობას ნათლის სვეტად ადგას ნეტარხსენებული მერაბ კოსტავას მრავლისმთქმელი სახელი. არც იმისგან ვართ დაზღვეულნი, რომ მავანნი ხელსაყრელ შემთხვევაში შეეცდებიან გააიგივონ საზოგადოების თვალში ორი სხვადასხვა ორგანიზაციის სახელი. გასაგები მიზეზების გამო საგანგებო სიფრთხილეს ნურავინ გვიწყენს.

ალბათ, აჯობებს, გარკვეული უნარისა და მსგავსი სულისკვეთების ადამიანები ერთ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ, ხოლო თუ ოპოზიციის შექმნას ვაპირებთ, მაშინ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრი.**




ყოველი მცდელობა შეიცვალოს ძალადობის ერთი ფორმა, ძალადობის მეორე ფორმით ეროვნული მოძრაობისა და ერის ინტერესების დაცვის ლოზუნგით, ჩანასახშივე უნდა განადგურდეს.

**არტისტული დემოკრატები შინ და გარეთ** — მე-2 გვ.

მე ვერ ვიტყვი რომ შენ არ გაქვს აქ მომავალი, მაგრამ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში შენი (როგორც ებრაელის) მომავალი უკეთესი იქნება.

**ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად ებრაელები ტოვებენ საბჭოთა საქართველოს** — მე-3 გვ.

რა იყო, ერთი მიბრძანეთ, იმაზე ადვილი, დაედგათ ილია ჭავჭავაძის საფლავზე ილიას გამოსახულება, მაგრამ დადგეს — „მწუხარე საქართველო".

**წმინდანის ძეგლი, ანუ რკინის ხე** — მე-4-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არტისტული დემოკრატები შინ და გარეთ

**იმისათვის**, რომ ჩვენ რეალისტურად შევაფასოთ ფრანგული პრესის დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ და განვსაზღვროთ, თუ რისი იმედი შეიძლება გვქონდეს მომავალში, ვფიქრობ, უეჭველად უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ფრანგული პრესა არც ისე თავისუფალია და დამოუკიდებელი, როგორც ეს შორიდან ჩანს. ზოგიერთ ჟურნალისტთან საუბარმა და სოვეტოლოგთა სტატიების გაცნობამ დამარწმუნა, რომ ფრანგული პრესა ცდილობს არ შეიტანოს რაიმე მნიშვნელოვანი დისონანსი საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებაში, ვინაიდან საფრანგეთის მთავრობა აშკარად უჭერდა მხარს გორბაჩოვს, ამიტომ იდეა საბჭოთა იმპერიის დაშლისა ნაკლებად პოპულარული იყო ფრანგ ჟურნალისტთა და პოლიტოლოგთა შორის. დარწმუნებული ვარ, როგორც კი შეიცვლის თავის პოზიციას საფრანგეთის მთავრობა საბჭოთა კავშირის მიმართ, პრესაც მაშინვე გარდაიქმნება (ეს გარდაქმნა ნაწილობრივ მოხდა კიდეც ლიტვაში ჯარების შეყვანის შემდეგ).

საბჭოთა იმპერიის დაშლის თაობაზე არსებობს განსხვავებული აზრიც. მაგალითად, ცნობილი პოლიტოლოგი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, ქალბატონი ელენ კარერ დ' ანკოსი საბჭოთა იმპერიის დაშლას სასიკეთო და გარდაუვალ პროცესად მიიჩნევს. ელენ დ' ანკოსმა, ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში გამოსცა წიგნი სათაურით „ეროვნებათა დღესასწაული", რომელშიაც საბჭოთა იმპერიის დაშლის აუცილებლობა იწინასწარმეტყველა. ელენ დ' ანკოსის აზრს იზიარებს ასევე ცნობილი სოვიეტოლოგი ქალბატონი ფრანსუაზ ტომი. მაგრამ, სამწუხაროდ, იდეა საბჭოთა კავშირის დაშლისა, ფრანგულ პრესაში ჯერჯერობით არ დომინირებს. პირიქით, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ფრანგ პოლიტოლოგთა უმეტესი ნაწილი რუსეთის იმპერიის დაშლას საშიშ პროცესად მიიჩნევს და აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ეროვნული მოძრაობა მათ სიმპათიას არ იმსახურებს. ეს არის საერთოდ საფრანგეთის პოლიტიკისთვის დამახასიათებელი პრაგმატისტული, უტილიტარული დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე პროცესისადმი. ამიტომ, ჩემის აზრით, ჩვენ არ უნდა გვქონდეს რაიმე განსაკუთრებული იმედი იმისა, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი ამ ეტაპზე ფრანგული პრესის მხარდაჭერასა და თანადგომას გამოიწვევს (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე), ბედნიერი გამონაკლისი იყო ფრანგი ჟურნალისტის სერჟ რაფის სტატია ჟურნალ „ობსერვატერ"-ში, რომელშიც ავტორმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ეროვნულ მოძრაობას, ხოლო ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტობა უწინასწარმეტყველა. ეს სტატია გასული წლის მაისის თვეში დაიბეჭდა და, როგორც თვით ავტორისგან შევიტყვეთ, მას ამ წერილის გამო დიდი უსიამოვნება ჰქონია ჟურნალის რედაქტორთან. რაც შეეხება დანარჩენ წერილებს საქართველოზე, იქ უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს დღევანდელ მთავრობას ულტრა-ნაციონალისტურს უწოდებენ, ხოლო საქართველოს კი „მცირე იმპერიას". ცხადია, ოსებისა და საერთოდ, მცირე ერების ჩაგვრას გვდებენ ბრალად. მე შევეკითხე გაზეთ „ლე მონდ"-ის ჟურნალისტს: — **საფრანგეთის რომელიმე რეგიონი, კომპაქტურად დასახლებულმა არაბებმა რესპუბლიკად რომ გამოაცხადონ, რას იტყოდით?** გაიცინა. რას ბრძანებთ, ეს შეუძლებელიაო. **მაშ, ჩვენ რას გვემართლებით, რას გვთხოვთ?** — კი მაგრამ, ოსები ხომ თავიანთ მიწა-წყალზე ცხოვრობენო — მიპასუხა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემმა საუბარმა სულ უშედეგოდ ჩაიარა. როგორც ჩანს, ისინი ხვდებიან, რომ მოსკოვიდან მიწოდებული ცნობები ძალზედ ტენდენციურია, ცრუ, მაგრამ ამავე დროს, სახაროვისა და სოლჟენიცინის ავტორიტეტი დიდია ევროპაში, მათ კი, მოგეხსენებათ, საქართველო „მცირე იმპერიად" მონათლეს. დღეისათვის კიდევ უფრო ნათელი ხდება, რომ სახაროვისეულ კონსტიტუციაში პიროვნების დაცვაზე მეტად რუსეთის იმპერიის შენარჩუნების კიდევ ერთი ცდა იყო ჩადებული, რასაც, რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავწამებთ სოლჟენიცინს. როგორც ჩანს დროა საჭირო, რომ ეს ასე ადვილად გასაშიფრი სვლა დასავლეთმაც გააცნობიეროს.

მაგრამ ციხე მაინც შიგნიდან ტყდებაო. — ნათქვამია. ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ ჩვენი უცხოელი ოპონენტები ხშირად ჩვენივე თანამემამულეთა, ზოგიერთ ქართველ ემიგრანტთა, აზრს იზიარებენ. აი, მაგალითად, 1990 წლის ოქტომბრის თვის ჟურნალი „ივერია". ჟურნალის ყდაზე ვკითხულობთ — „ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი. დაარსებულია ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს. აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ 1949 წელს". ჟურნალის პირველი წერილია — ს. ქართველის „ფიქრები საქართველოზე". საინტერესოა, რა ფიქრები დაუფლებია სამშობლოზე ჩვენს თანამემამულეს შორეულ საფრანგეთში? მომაქვს რამდენიმე ამონაწერი:

„საქართველო სნეულია, როგორც ადამიანი შეიძლება დაავადდეს და დეპრესიაში ჩავარდეს — ისევე ერიც", „არ შეიძლება არავინ დაიგმოს: — მასა რომ „ცუდად იქცევა" მისი კვილი და ჭყივილი მისი ბრალი კი არ არის, არამედ იმათი, ვინც წინ არ მიუძღვის სწორად და ვერ გამოუკვლევია ჭეშმარიტი გზა", „არ არის დრო ერთიმეორის სიძულვილის. საქართველოს მკურნალობა სჭირდება, სანამ მოვა განთავისუფლება. თორემ ქართველი ერი, საქართველო, მხოლოდ გადავა ციხიდან — ფსიქიატრიულში და ვეღარ მოესწრება კარების გახსნას" და ა. შ. ძნელია ამგვარ „ფსიქოლოგიურ ჩანახატს" კომენტარი გაუკეთდეს, იქნებ, არც ღირდეს ჩიტი ბრდღვნად, მაგრამ, ვშიშობ, რომ ამგვარი „ფიქრები" ტვინს უბნევს საქართველოთი ერთგვარად დაინტერესებულ მცირერიცხოვან საზოგადოებას და ისედაც გზააბნეულ ჟურნალისტებს.

საბედნიეროდ, ს. ქართველის ეს ტურისტული ჩანახატი ჟურნალ „ივერიაშია" დაბეჭდილი, ხოლო ქართული პრესით დაინტერესებული მკითხველი პარიზში თითზეა ჩამოსათვლელი, რასაც ვერ ვიტყვით ყოველკვირეულ ფრანგულ ჟურნალ „ნუველ ობსერვატერ"-ზე, რომელსაც ასობით და ათასობით მკითხველი ჰყავს. სწორედ ამ მეტად პრესტიჟული და პოპულარული ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა 1990 ლის აგვისტოში, საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ ბლოკ „დემოკრატიული საქართველოს" ერთ-ერთ იდეოლოგთან. გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემცირებულ თარგმანს:

**„ნ. ო. — საქართველო პირველი დემოკრატიული არჩევნებისათვის ემზადება. როგორ ფიქრობთ, მზად არის იგი მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა და დაამყაროს დემოკრატიული რეჟიმი?**

**პასუხი** — დამოუკიდებლობა ყველა რესპუბლიკას უნდა, თანაც ყველა თავის თავს დემოკრატს უწოდებს. რა იფარება ამ სიტყვების უკან? ჩვენ უკვე ვიცხოვრეთ ამ რეჟიმში სამოცდაათი წლის განმავლობაში, ამიტომ, ბალტიისპირეთთან შედარებით საქართველოში კორუპციამ უფრო მოიკიდა ფეხი. ცხოვრების საბჭოური სტილი შეეხო ყველა სფეროს — სოციალურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს. ერი თითქოს გაორებულია — ერთის მხრივ, იბრძვის საკუთარი თავის გადარჩენისთვის, მეორეს მხრივ კი შესანიშნავად შეეწყო სოციალიზმს, საბჭოთა სისტემას, რაც იწვევს საზოგადოების დემორალიზაციას, გახრწნას. ეს არ არის დემოკრატიის დამკვიდრებისთვის კარგი ნიადაგი.

**ნ. ო. — მართალია. მაგრამ თბილისში ჩატარებულმა მანიფესტაციებმა ხომ გამოავლინა, რომ საქართველოში პოლიტიკური აქტივობა აღორძინდა.**

**პასუხი** — სამწუხაროდ, ზოგიერთების პოლიტიკური ბრძოლა დღეს ნაციონალისტურ ელფერს იძენს. ეს არ არის საკმარისი ჭეშმარიტი დემოკრატიული ოპოზიციის მოსამზადებლად.

ქართველ ოპოზიციონერთა პლატფორმაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ყოველი მცდელობა შეიცვალოს ძალადობის ერთი ფორმა, ძალადობის მეორე ფორმით ეროვნული მოძრაობისა და ერის ინტერესების დაცვის ლოზუნგით, **ჩანასახშივე უნდა განადგურდეს**".

**ნ. ო. — ნუთუ ეს მკაცრი გაფრთხილება რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს გულისხმობს საქართველოში?**

**პასუხი** — ჩვენ არავის ვაგდებთ დემოკრატიული მოძრაობიდან. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ საქართველოში არსებობს ნაციონალისტურად განწყობილი ჯგუფები და პიროვნებები. მაგალითად ისეთები, როგორიცაა ზვიად გამსახურდია. ისინი არც საქართველოს განასახიერებენ და არც საქართველოს საუკეთესო ნაწილს. ზ. გამსახურდია პირწმინდა ნაციონალისტია. როდესაც შორიდან უყურებ ამ პროცესს, ზოგჯერ ვერ ამჩნევ, თუ როგორი ძლიერია ნაციონალისტური ტენდენცია საქართველოში.

**ნ. ო. — უსურვებთ თუ არა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან სრულ გამოყოფას?**

**პასუხი** — ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება გვინდა. გვინდა ვიმუშაოთ ცენტრის კარნახის გარეშე. გვინდა შევქმნათ ნორმალური ეკონომიკა. მივიღებთ თუ არა თავისუფლებას, ჩვენ ვივაჭრებთ რუსეთთან, უკრაინასთან, სომხეთთან და სხვა. აბსოლუტური თავისუფლება არაფერზე მეტყველებს. ქართველებს, ისევე როგორც ლიტველებს, ჯერ არ შეუძლიათ მსოფლიო ბაზარზე გასვლა. მე არ ვიცი როგორ ფედერაციას შემოგვთავაზებენ მომავალში. **პროექტი, რომელზედაც დღეს მუშაობენ, როგორც ჩანს, საკმაოდ მოქნილი იქნება**, რათა მისცეს ყოველ რესპუბლიკას შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს, თუ ვისთან სურს კონტაქტის დამყარება. ყველაფერს დრო გვიჩვენებს" (ხაზგასმა ჩვენია — მ. თ.).

დრომ მართლაც ბევრი რამ გვიჩვენა ამ მოკლე ხანში... ჯერ ერთი წელიც არ გასულა ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან და მოსკოვმა უკვე დაამყარა „მოქნილი კონტაქტი" ლიტვასა და ლატვიასთან, ალბათ, არც სხვა „კონტაქტებს" დააყოვნებს; ქართველმა ხალხმა „დრო იხელთა" და „უკიდურესი ნაციონალისტები" „პირწმინდა ნაციონალისტის მეთაურობით" ეროვნულ მთავრობად გამოაცხადა, რითაც ერის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დაუდასტურა.

მართლაც რომ „ჩანასახშივე გასანადგურებელი" კომუნისტური და სოციალისტური წყობაც ასევე შოვინისტურსა და ექსტრემისტულს უწოდებდა ეროვნულ მოძრაობას, რითაც თავისი მუდმივი დამკვეთის სოციალურ დაკვეთას პირნათლად ასრულებდა. მეტ-ნაკლები წარმატებით ასრულებს თავისი მთავრობის დაკვეთას ფრანგული პრესაც. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ზემოთმოტანილ ინტერვიუში ფრანგი კორესპონდენტი აშკარად ცდილობს საქართველოზე რაიმე დადებითი აზრი მოისმინოს, მაგრამ ამაოდ.

ბუნებრივია, ცდასა და მონდომებას არ აკლებენ საბჭოთა ჟურნალისტები, ფესუნენკოსა და ბოროვიკის მეთაურობით, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობა დარაზმონ საქართველოში „მძვინვარე ნაციონალიზმის" წინააღმდეგ, მაგრამ საკითხავია ვის სოციალურ დაკვეთას ასრულებენ ასეთი „არტისტიზმით" ქართველი „დემოკრატები" შინ და გარეთ?!

**მედეა თუშმალიშვილი,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.**

# 1990 წ. 29 სექტემბერი
# პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს
## თეთრი სახლი
## ვაშინგტონი

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

ა. წ. აპრილში მე მომეცა შესაძლებლობა გავმხდარიყავი მონაწილე იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებისა, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეთა გაცვლას აშშ-სა და სსრკ-ს შორის. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მე ვახლდით საქართველოში. იმედი მაქვს, რომ თქვენ გაცნობეს ჩვენი საქართველოში გამგზავრებისა და სანაცვლოდ ქართველთა აშშ-ში ჩამოსვლის თაობაზე. ყველაფერმა ძალზე წარმატებით ჩაიარა და ოქტომბერში მოსალოდნელია კიდევ ერთი ანალოგიური ღონისძიების ჩატარება.

მე მესმის, რომ თქვენი აზრი და გონება მიმართულია სპარსეთის ყურისაკენ და, ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ იქნებ შეძლოთ და მცირე ხნით ჩემი საფიქრალიც გაიზიაროთ. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რუსეთი დღეს დაღუპვის პირას არის მისული. დღითიდღე ძნელდება ყველაფრის შოვნა, დაწყებული ხორცით და დამთავრებული სიგარეტით. ჩვენამდე მოდის ცნობები მოსკოვში გრძელი რიგების თაობაზე, მაგრამ არაფერი ვიცით ქვეყნის დანარჩენი ნაწილის შესახებ. საქართველოში ყოფნისას ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ ქვეყანას სურს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა, და უნდა ითქვას შესანიშნავად შეძლებს თავისი თავის მოვლა-პატრონობას, იმის გათვალისწინებით, რომ მათ აქვთ ყოველგვარი ბუნებრივი შესაძლებლობა ამ მიზნის მისაღწევად. მხედველობაში მაქვს ბუნებრივი პირობები: მაღალი მთები და მდიდარი დაბლობები, ძალზე ნაყოფიერი მიწა და ღონიერი, ზედმიწევნით ძლიერი ნებისყოფის ხალხი, რომელსაც სურს თავის თავს თვითონ, სხვის დაუხმარებლად მოუაროს.

ჩვენ აღმოვაჩინეთ ღრმად ტრადიციული ქვეყანა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავისი ენა, დამწერლობა, დროშა. ჩვენ გავიზიარეთ ამ ხალხის ცხოვრების წესი, რომელიც თითქმის თავისუფალია, მაგრამ გარკვეული ნაკლულობის განცდა მაინც ჩნდება. ვნახეთ მრავალი დემონსტრაცია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ხოლო აგვისტოში მოწმენი გავხდით საქართველოში ლენინის უკანასკნელი ძეგლის ჩამოგდების ფაქტისა, რომელიც მთავრობის თანხმობით განხორციელდა.

ოჯახი, რომელმაც ჩვენ მიგვიღო, მონაწილეობდა 1989 წ. 9 აპრილის დემონსტრაციაში. მათ გვაჩვენეს სუკის მიერ გადაღებული ამ ტრაგედიის ამსახველი ფირი იმ საშინელი, აუტანელი ღამის მოვლენების შესახებ. ძალიან ძნელი გახლდათ ამ ხოცვა-ჟლეტის ცქერა, მაგრამ ჩვენ ვუცქირეთ. ჩვენ დავინახეთ ცრემლები ჩვენი მასპინძლების თვალებზე, თუმცა ლაპარაკი არ გვესმოდა, მაგრამ თვალით დანახული სიტყვებზე ათასწილ მეტყველი და შთამბეჭდავი იყო.

ჩვენ გვთხოვეს, გადმოგვეცა ჩვენი ქვეყნის ლიდერთათვის, რაც ვნახეთ და რაც გავიგეთ იქ ყოფნისას. ამ ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს და მყარადაც დადგეს ფეხზე საკუთარი რესურსებით. დიდი წილი შემოსავლისა მოსკოვის მთავრობის შესანახად გადის, იმ მთავრობისა, რომელიც საქართველოს არ სჭირდება და არ უნდა. მათ უნდათ თავისუფლება. წელს აღმოსავლეთ გერმანიას „გასვლის" ნება დაერთო, თავისუფლების ზარი რეკავს ევროპაში. რუსეთი და კომუნისტური მმართველობა თმობს პოზიციებს, ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო და ლიტვა სურთ თავიანთი წესებითა და კანონებით იცხოვრონ, როგორც ოდესღაც.

ბედნიერი ვიქნებით თქვენთან, ან თქვენს წარმომადგენელთან შეხვედრით, თუ გამოთქვამთ ამ ხალხთან შეხვედრის სურვილს და სხვა კუთხით შეხედავთ მოვლენებს. შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც თავისუფლება სწადიათ, ადამიანებს იმ ქვეყნიდან, რომელიც ვეღარ მართავს თავის თავს. დელეგაცია ჩამოდის 18 ოქტომბერს ატლანტაში და აქ დარჩება თვის ბოლომდე. მე ახლახან მივიღე ერთი თვის წინ გამოგზავნილი წერილი, სადაც ჩემი მეგობრები იტყობინებიან, რომ საქართველოშიც იჩინა თავი იმ დეფიციტმა, რომელიც კარგა ხანია მძვინვარებს მოსკოვში. ქართველები არ უნდა განიცდიდნენ ამგვარ ხელმოკლეობას, ვინაიდან მათ აქვთ საკმაო რესურსები ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად. მე ძალიან მაინტერესებს გავიგო, თუ რა მოუტანა მათ უკანასკნელმა ორმა თვემ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ სულ უფრო და უფრო გაუუარესდებათ მდგომარეობა. დღევანდელ დღეს ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მმართველი მთავრობები არ უნდა ერეოდნენ და ზღუდავდნენ სხვა ქვეყნის უფლებებს, რომელსაც აქვს უნარი საკუთარ თავს თვითონ უპატრონოს.

გთხოვთ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მაცნობოთ თქვენი დამოკიდებულების შესახებ ამ საკითხის მიმართ, ასევე იმის თაობაზე, შეძლებთ თუ არა ოქტომბრის შეხვედრაზე ჩამოსვლას. მე მწამს, მათ დიდი სურვილი ექნებათ თქვენთან საუბრისა. თქვენი ჩამობრძანება დიდი პატივი იქნება ყველა ჩვენგანისათვის.

**ქეთ ბარტმანი**

●

**ამ წერილს ამერიკის პრეზიდენტისადმი, რასაკვირველია, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. შეხვედრა არ შემდგარა, მაგრამ ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ მასში ჩვენი შორეული სტუმრის კეთილი ნებაა გამოხატული. ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იმ დროს, როდესაც განგების ნებით სამშობლოს მოწყვეტილი ზოგი ქართველი, რომლის მართალ სიტყვას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირად სწორედ ამ სიტყვას არ შეგვაწევს. აღსანიშნავი და დასაფასებელია სრულიად უცხო ადამიანის თანადგომა ჩვენთვის ამ მეტად მძიმე, მაგრამ იმედებით აღსავსე დროს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოში** საქმიანი ვიზიტით სტუმრად იმყოფებოდნენ საფრანგეთის მოქალაქეები, სამედიცინო, იურიდიული და მარკეტინგის სფეროს წარმომადგენლები: ბატონები ოთარ ზურაბიშვილი, გივი ბეგიაშვილი, მიხეილ გოგიტიძე, გია სარჯველაძე. მათ ფრანგული დაბოლოების გვარებით მოიხსენიებენ, მაგრამ ჭეშმარიტად პატრიოტული განწყობილება, მათივე საქმეები, ამჟღავნებს მათ ნამდვილ ქართველობას.

ჩვენ ვესაუბრეთ ოთარ ზურაბიშვილს, რომელიც საქართველოსათვის მნიშვნელოვანი, უამრავი საქველმოქმედო, სასიცოცხლო საქმის ავტორია. ის ღირსეული მემკვიდრეა მამის, ლევან ზურაბიშვილის. ლევანი ოთხი წლისა წაიყვანეს მშობლებმა საფრანგეთში. სამშობლოდან შორს მყოფი, უცხოეთში აღზრდილი ქართველი კაცი, ნიადაგ ცდილობდა კეთილი საქმეებით ახლოს ყოფილიყო მონატრებულ სამშობლოსთან. წლების მანძილზე ბატონი ლევანი ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეობდა, მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „თავისუფლების ტრიბუნა“, ის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო ანტიკომუნისტური „ალიანსისა“. მან უცხოეთში ქართულად აღზარდა შვილები, ოთარი და სალომე. ბატონი ოთარი დისიდენტური მოძრაობის დაწყების დღიდან, 70-იანი წლებიდანვე მხარში უდგას ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ქართველ პატრიოტებს. ის სისტემატიურად თარგმნიდა ქართულიდან ფრანგულ ენაზე ჩვენში არალეგალურად გამომავალ „ოქროს საწმისს“, „საქართველოს მოამბეს“. გიორგი წერეთელთან ერთად ოთარ ზურაბიშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი მერაბ კოსტავას სახელობის ფონდის შექმნისა საფრანგეთში. ამ ფონდში შეგროვებულ ფულს, ის არალეგალურად უგზავნიდა საქართველოში პატიმრობაში მყოფ დისიდენტთა ოჯახის წევრებს, ეს თითქმის ერთადერთი სარჩო იყო უსახსროდ დარჩენილი ოჯახებისათვის. პარიზიდან მიღებული ფულით პატიმრობიდან განთავისუფლებული მერაბ კოსტავა დიდ დახმარებას უწევდა მაშინ ახლად შექმნილ ეროვნულ პარტიებს, ჟურნალ-გაზეთებს, პოლიტპატიმართა ოჯახებს.

როდესაც ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა შეიტყო პატიმრობაში მყოფი მერაბ კოსტავას სასიკვდილო შიმშილობის შესახებ, ის ხელებგადაჯაჭვული დაჯდა რომში საბჭოთა საელჩოს წინ, რათა მსოფლიოს საზოგადოებას ყურადღება მიექცია ქართველთა სატკივრისათვის. ის არაერთხელ ყოფილა მიღებაზე ფრანსუა მიტერანთან საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბატონი ოთარი სტაბილურად აწვდიდა მსოფლიოს საზოგადოებას მართალ ინფორმაციას ქართული დისიდენტური მოძრაობის შესახებ.

ყოველივე ეს ბატონმა გიზო კორძაძემ მოგვითხრო, ჩვენ შევეცადეთ ბატონ ოთართან დიალოგის დროს საუბარი ამ მიმართულებით წაგვეყვანა, მაგრამ სტუმარი გვერდს უვლიდა საკუთარ სიქველეზე საუბარს..

# როცა სიზმარი და რეალობა ერთია

**— ბატონო ოთარ, თქვენ პირველად ბრძანდებით საქართველოში. ერთი კვირა ძალიან მცირე დროა ქვეყნის გასაცნობად, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ — თქვენ როგორც საფრანგეთში დაბადებულ და აღზრდილ ქართველს, რა თქმა უნდა, გქონდათ რაღაც შეხედულება უნახავი სამშობლოს შესახებ, რამდენად შეესატყვისება საქართველოს რეალური სურათი იმ თქვენი ოცნების საქართველოს... თუ არის რაიმე საერთო, ასე ვთქვათ, იმიჯსა და რეალურს შორის.**

— ბუნებრივია, ერთ კვირაში ბევრი არაფერი მინახავს, მაგრამ ვფიქრობ ხალხი, ქართველი ხალხი უკეთ გავიცანი.

ევროპიდან მომავალს ერთი აზრი მაშინებდა: ქვეყანა, რომელიც სამოცდაათი წელი სოციალისტურია, ვერ გამოზრდიდა პროფესიონალ პოლიტიკოსებს-მეთქი. არ ვგულისხმობდი ერთ ან ორ ცნობილ პროფესიონალ პოლიტიკოსს, იმიტომ რომ ქვეყნის სიკეთისათვის ძლიერი პროფესიონალები ყველა სფეროშია საჭირო და პირველი, რამაც ძალიან გამაკვირვა, ის იყო, რომ ჩვენ შევხვდით დეპუტატებს, მინისტრებს, მათ თანაშემწეებს, რომელნიც ვიწრო ეროვნული პოლიტიკით კი არ არიან შემოზღუდულნი, არამედ მათი მსოფლმხედველობა მსოფლიო სტანდარტებს უტოლდება, ისინი საკითხებს საერთაშორისო შეხედულებების მიხედვით წყვეტენ.

მეორე საკვირველება ჩემთვის იყო მათი სულიერი სიმაღლე. ისინი უბრალოდ მშრალი პროფესიონალები კი არ არიან, არამედ როცა მათ ესაუბრები გრძნობ, რომ არიან ნამდვილი ქართველები, რომლებიც მთელი გულით აკეთებენ იმ საქმეს, რასაც ემსახურებიან.

ვშიშობდი, რომ ის ლამაზი სიზმრები, რომლებითაც აღმზარდეს მშობლებმა, მხოლოდ ილუზიებია, მხოლოდ ლამაზი ფიქრებია, მაგრამ ჩემდა გასაოცრად აღმოჩნდა, რომ წარმოდგენა ქართველ ადამიანებზე სულ მთლად გამართლდა, ესაა შემთხვევა, როცა სიზმარი და რეალობა ერთია — ეს მეტად უცნაური ამბავია ჩემთვის.

**— ბატონო ოთარ, თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?**

— მე ექიმი ვარ.

**— წმინდა პროფესიული თვალსაზრისით თუ დაამყარეთ საქართველოში კონტაქტები და ურთიერთთანამშრომლობის რაიმე საქმიანი პერსპექტივა თუ დაისახა?**

— მე შევხვდი ბატონ ირაკლი მენაღარაშვილს და ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლებს საქართველოში. ჯერ ადრეა იმის თქმა, თუ რა იქნება მომავალში, მაგრამ წინადადებები საკმაოდ საინტერესოა საქართველოს მხრიდან და, რაც მთავარია, მოწოდებული არიან, რომ გააკეთონ ყველაფერი ისე, როგორც ეს ევროპაშია მიღებული, თუნდაც საფრანგეთში. სამედიცინო კონგრესის შექმნის იდეა ჩამოყალიბდა, მაგრამ ქართველებს გამოცდილება არა აქვთ, არ იციან როგორ მუშაობს საერთაშორისო კონგრესი, ამაში ჩვენ უნდა დავეხმაროთ, ჩვენ არა ვართ ამის სპეციალისტები, მაგრამ ამ საკითხში გარკვეულები ვართ.

მეორე საკითხია — ფარმაცევტული ინდუსტრიის შემოტანა საქართველოში.

მესამეა — სტრუქტურების საკითხი. ესე იგი, როგორ უნდა აიგოს ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურა საქართველოში. ჯერ ჩვენ ძალიან შორსა ვართ იმისაგან, რაც ხდება ევროპაში (არსებობს მრავალი მოდელი: ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, მეოთხე მოდელია — საბჭოთა მოდელი).

**—თქვენთან ერთად ჩამოვიდა სამი ქართველი, რა პროფესიისანი არიან ისინი, თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა საქმიანი კონტაქტები დაამყარეს მათ თავიანთ სფეროში.**

—ჩვენ კარგად ვიყავით განაწილებული. სამედიცინო სფერო, იურიდიული სფერო და მარკეტინგის სპეციალისტი — გია სარჯველაძე.

თანამედროვე მსოფლიოში რეკლამა მოძველებულ ტერმინად ითვლება. ახლა უფრო გაფართოვდა რეკლამირების სფერო, რასაც ახლებურად მარკეტინგი ეწოდება. გია სარჯველაძის მიზანია, რომ მსოფლიოს გააცნოს თანამედროვე საქართველოს რეალური სურათი. ჩვენ აგრეთვე თავს მოვალედ ვთვლით საქართველოს კრიტიკულად, უცხო თვალით ვუყურებთ და შენიშვნების გათვალისწინებით საქართველოში დიდ შედეგებს მივაღწიოთ. ვთქვათ, უნდა შეიქმნას დიპლომატიის სკოლა, ყველაფერი გასათვალისწინებელია, დაწყებული იქედან, თუ როგორი უნდა იყოს ჩაცმულობა, მიდგომა საკითხებისადმი. ჩვენ ხომ ინგლისელები, ამერიკელები არა ვართ, ჩვენც ქართველები ვართ, მაგრამ რადგან ასე შორსა ვართ სამშობლოდან, მოვალენი ვართ შევამჩნიოთ ავიც და კარგიც.

**— ბატონო ოთარ, სანამ ჩამობრძანდებოდით ჩვენთან უკვე გქონდათ ინფორმაცია იმ შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, რაც არის საქართველოში დღეს, მაგალითად, შიდა ქართლის ამბები: რამდენადაც ვიცი, საფრანგეთში შიდა ქართლის პრობლემას უყურებენ, როგორც საქართველოში ნაციონალიზმის გამოვლინებას. თქვენი რეალური დასკვნები შიდა ქართლის პრობლემასთან დაკავშირებით როგორია ახლა?**

— ქართველებისა და ოსების პრობლემის შესახებ საზღვარგარეთ უფრო არასასიამოვნო კომენტარები აღწევს. ამას ეთნოკონფლიქტებს უწოდებენ საფრანგეთში. მაგრამ ჩამოსვლისთანავე ჩემთვის ნათელი გახდა, რომ აქ მესამე ხელს აქვს დევის წილი — ყოველ შემთხვევაში, ეთნოკონფლიქტი ნაღდად არაა.

**— საფრანგეთში სწორად აქვთ თუ არა გაგებული საქართველოს გეოპოლიტიკური ისტორია (მათთვის არის თუ არა ცნობილი, რომ შიდა ქართლი ესაა ისტორიულად ქართული მიწა და ოსები მხოლოდ მე-17 საუკუნეში ჩამოსახლდნენ აქ)?**

— ფრანგებმა თითქმის არაფერი იციან საქართველოს ისტორიის შესახებ. მე პირადად არა ვარ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ საქართველოს ისტორია, ვფიქრობ, რომ ვიცი. მაგრამ, როგორც გითხარით საფრანგეთში ცუდი ინფორმაციები მოდის. როცა ვადარებთ ჩრდილოეთ ოსეთს და სამხრეთ ოსეთს, ვხედავთ, რომ შესადარებელიც კი არაფერია. ერთი მხარეა, სადაც არაფერი აღარაა ოსური, იქ ბატონობს რუსეთის იმპერია, ბავშვებს ოსური სკოლებიც კი არა აქვთ, მეორე მხარეს არის ქართველების გულმოწყალების შედეგი — ოსური სკოლები, შესაძლებლობა სრული კულტურული განვითარებისა. აქამდე თუ ჩუმად იყვნენ წყალობასმიჩვეული ოსები, ახლა დრო იხელთეს, როცა რუსეთის იმპერიას ძალიან აწყობს საქართველოში კონფლიქტების არსებობა, სწორედ იმ დროს ინთება ცეცხლი და ჩნდება პრობლემები ოსების მხრიდან. ძალიან ადვილი გასაგებია, თუ ვისი ინტერესებიდან გამომდინარე ხდება ეს. ქართველების ინტერესებს ნაღდად არ შეესაბამება, ოსები რას მოიგებენ ვინ იცის...

**— ფრანგული პრესა კეთილგანწყობილია თუ არა საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის და საერთოდ რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ?**

— უკვე ხუთი წელია იწერება იმის შესახებ, რომ მოვა დრო, როცა რუსეთის დიდი იმპერია გასკდება და თუ დაიშალა იმპერია, დაიშლება ნაციონალური პრობლემების გამო. ეს აზრი უკვე დამკვიდრდა.

**— არის კიდევ ასეთი ვერსია, რომ ევროპას არ სურს იმპერიის დაშლა იმიტომ, რომ ერთი პრობლემური სახელმწიფოს ნაცვლად ექნება თხუთმეტი პატარა პრობლემური სახელმწიფო...**

— დიპლომატიურ და პოლიტიკურ დონეზე ვინც მოღვაწეობს, მათ არ უყვართ გეოპოლიტიკური ამინდის სწრაფი შეცვლა. ისინი დიაგნოზებს და პოლიტიკურ ანალიზებს აკეთებენ ხუთი-ათი წლით ადრე. ურთიერთობების დამყარების დროსაც მათ ურჩევნიათ სტაბილური, წყნარი პირობები.

**— ქართული ემიგრაცია თუ იღებს რაიმე მონაწილეობას ინფორმაციის საშუალებებით საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ აზრის შექმნისა და საქართველოს უკეთ გაცნობის მიზნით?**

— ემიგრაცია კი ცდილობს, მაგრამ საერთოდ რა ხდება ევროპულ ჟურნალისტიკაში?! ის უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე ამერიკული ჟურნალისტიკა. ამერიკელებს უყვართ ღრმა ანალიტიკური სტატიები, თუ არ ვცდები, თითქმის არც კი მინახავს ფრანგულ პრესაში ვინმეს ისტორიული ნარკვევი გაეკეთებინოს, ვთქვათ, ოსეთის პრობლემასთან დაკავშირებით.

**— ბატონო ოთარ, სად ისწავლეთ ქართული?**

— ოჯახში, ბებიებისაგან, დედმამისაგან. შემდეგში რომ ჩამოვალ, ქართულად უკეთ ვილაპარაკებ.

**პუბლიკაცია მოამზადა**
**ირმა კახნიაშვილმა**

**თ. ელეინ ქერეი**

# ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად ებრაელები ტოვებენ საბჭოთა საქართველოს

თბილისი, სსრ კავშირი — ახალგაზრდა, განათლებული საბჭოთა ქართველი ებრაელები მასიურად ტოვებენ საბჭოთა კავშირს, ვინაიდან ჭზარდი ქართული ნაციონალიზმი ართმევს მათ მომავლის იმედს.

„ისინი (ქართველი ებრაელები) დღეს იმას კი არ ეკითხებიან ერთმანეთს, აპირებენ თუ არა საქართველოდან წასვლას, არამედ თუ როდის აპირებენ!“ — თქვა 25 წლის ვიქტორ ზრატასლავსკიმ, რომელმაც შეიტანა თხოვნა აშშ-ში ემიგრაციაში წასვლის ნებართვის თაობაზე.

ებრაელთა ასეთი მასობრივი დინება საქართველოდან ერთგვარ გაოცებას იწვევს, რადგან საქართველო არის ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც ებრაელებს მშვიდობიანად ეცხოვრებოდათ, განიცდიდნენ რა მინიმალურ შევიწროვებასა და დევნას. ქართველები ტრაბახობენ, რომ მათი ქვეყანა ტოლერანტულია სხვა ერთა მიმართ და რომ საქართველოში ათწლეულების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა თუ რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები.

მაგრამ საბჭოთა პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის რეფორმებმა უნებურად დაარღვია ეს სიმშვიდე. 1989 წლის დასაწყისში მრავალმა ქართველმა გააცნობიერა, რომ ახალი პოლიტიკური თავისუფლების ტალღა საბჭოთა კავშირში შეიძლება გამხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინაპირობა. 1921 წელს საქართველო აიძულეს შესულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამწლიანი თავისუფლების შემდგომ.

1989 წლის ადრე გაზაფხულზე საქართველოს დედაქალაქ თბილისში ყოველდღიურ დემონსტრაციებში ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას. რაც უფრო ძალაში შედიოდა გაზაფხული, დემონსტრანტთა რიცხვი მატულობდა და მათი მოთხოვნები უფრო კატეგორიული ხდებოდა. კომუნისტურმა მთავრობამ, რომელმაც სხვაგვარად ვერ შეძლო წინ აღდგომოდა თავისუფლების ამ მოძალებულ ტალღას, 1989 წ. 9 აპრილს ჯარები გამოიყვანა დემონსტრაციის დასარბევად. ამ დღეს მოკლეს 21 ადამიანი.

ამ ინციდენტმა თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი კიდევ უფრო შეკრა და გააძლიერა, მაგრამ მან ასევე ხელი შეუწყო ეჭვისა და უნდობლობის ჩამოვარდნასა და გაღვივებას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში. საქართველოში მცხოვრებ 5,2 მლნ. მოქალაქეთა შორის ქართველთა რიცხვი 3,6 მლნ. შეადგენს, სომხები — 470.000, რუსები დაახლოებით 390.000, აზერბაიჯანლები 270.000, ოსთა რიცხვი საქართველოში 166.000 აღწევს, ხოლო აფხაზებისა 90.000, ებრაელები მხოლოდ 15.000 არიან.

9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის შემდგომ, ქართველთა უმრავლესობა დარწმუნდა იმის აუცილებლობაში, რომ საქართველოში ქართველთა სტატუსი დაცული უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსკოვს მიეცემა შესაძლებლობა სხვა ეთნიკური ჯგუფების საშუალებით თავისი კონტროლის განხორციელებისა, ამგვარად, ყველა ქართველი, მისალმებისთანავე აუწყებს სტუმარს, რომ რესპუბლიკაში ყველა პრივილეგირებული სამსახური აფხაზთა ხელშია და, რომ ეს ის გასამრჯელოა, რომელსაც ისინი საქართველოში კრემლის გავლენის გაძლიერების ხელშეწყობისთვის იმსახურებენ.

1989 წლის გაზაფხულის შემდეგ, საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა დიდ მომრავლებას ჰქონდა ადგილი, მათ ოფიციალურად რეგისტრაციაში გატარების უფლება მიენიჭათ. როგორც ებრაელთა სათვისტომოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, ამ პარტიათა უმრავლესობა ხელს უწყობს „საქართველო ქართველთათვის“ მოსაზრების განმტკიცებას, რაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. პრობლემა არ მდგომარეობს ანტი-სემიტიზმის პროპაგანდაში, რაც სხვათა შორის დიდ აღმავლობას განიცდის საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში.

„მე არასოდეს არაფერი მსმენია ანტი-სემიტური დარბევებისა და სხვა მსგავსი მოვლენების შესახებ აქ“ — თქვა 25 წლის ებრაელმა, ნევროლოგმა მიხეილ ჰიანურაშვილმა.

„საქართველოში ებრაელთათვის შედარებით უკეთესი პირობებია, ვიდრე სადმე სხვაგან საბჭოთა კავშირში“ — თქვა მან. — „ჩვენ არ ვშიმშილობთ, გვაქვს ბინები, მანქანები“.

„შენ (როგორც ებრაელი) ითვლები მეორეხარისხოვან მოქალაქედ“—განაგრძო ბატონმა მიხეილმა, რომელიც ისრაელში წასასვლელად ემზადება. — „მე ვერ ვიტყვი, რომ შენ არ გაქვს აქ მომავალი, მაგრამ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში შენი (როგორც ებრაელის) მომავალი უკეთესი იქნება.

უმეტესად, ისრაელში მიემგზავრებიან 20-30 წლის უმაღლესი განათლების მქონე ებრაელები. მთავარი სინაგოგა დახმარებას უწევს ფირმას, რომელიც ახორციელებს ისრაელში მიმავალ ებრაელთა ტვირთის გადაზიდვას.

1970-იანი წლების დასაწყისში საქართველოში 50.000 ებრაელი იყო. დარჩენილი 15000-დან თითქმის ნახევარი დედაქალაქში ცხოვრობს.

**რედაქციისაგან:** ეს პუბლიკაცია, რომელიც „ატლანტა ჟორნელმა“ გამოაქვეყნა გასულ წელს ჯერ კიდევ არჩევნებამდე, მრავალმხრივ საკამათოა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

2000 წელზე მეტია ებრაელები საქართველოში ცხოვრობენ. რამდენიმე ათეული წელია მიემგზავრებიან ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, თან მიჰყვებათ საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარული, ეს ყველასათვის ცნობილია. წერილის ავტორი ებრაელთა დინებას საქართველოდან ქართული ნაციონალიზმის ზრდით ხსნის. ვერ დავეთანხმებით ჟურნალისტ თ. ელეინ ქერეის, რადგან მიგვაჩნია, რომ ებრაელები გაურბიან საბჭოთა სისტემას და არა საქართველოს. საბჭოთა კავშირიდან კი არამარტო ებრაელები მიდიან, რადგან საბჭოთა კავშირში არც ქართველს, არც რუსს და არც ებრაელს არა აქვს მომავალი, და ბატონ მიხეილ ჰიანურაშვილისა არ იყოს, „ნებისმიერ ქვეყანაში მისი მომავალი უკეთესი იქნება“.

რედაქციის სურვილია ამ წერილს გამოეხმაურონ საქართველოში მცხოვრები ებრაელები, მოგვწერონ თავიანთი აზრი ამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ.

**ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული კატაკლიზმები ხვადასხვა სახით თითქმის ყველა სფეროში აისახა, ბუნებრივია, ხელოვნებაშიც გაჩნდა ახალი პროცესები. შეიმჩნევა ეროვნული, რელიგიური, ტრადიციული მოტივებისკენ მიბრუნების ტენდენცია. ეს შემობრუნება ხახურველი და მისასალმებელია, მაგრამ შეიძლება იმის საშიშროებაც შეიქმნას, რომ გაჩნდეს ახალი კონიუნქტურა, რაც მხოლოდ საპირისპირო შედეგს გამოიწვევს — დააკნინებს, გააუფასურებს იმ იდეათა მნიშვნელობას რომელიც დღეს ასე არსებითია ჩვენთვის. ამ პრობლემებთან დაკავშირებით მივმართეთ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ერთ ჯგუფს, რათა გავრკვეულიყავით რამდენად მიზანშეწონილია წმინდანთა გამოსახულებების და საერთოდ რელიგიური თემატიკის ფართო ტირაჟირება.**

**გვესაუბრებიან ქალბატონები ქეთევან აბაშიძე, მარიამ დიდებულიძე და ბატონი დიმიტრი თუმანიშვილი.**

# წმინდანის ძეგლი, ანუ რკინის ხე



ბ-ნი დიმიტრი თუმანიშვილი — ტალღა, საზოგადოდ მონუმენტების დადგმისა და განსაკუთრებით მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ჩვენი წინაპრების ქანდაკებების აღმართვისა, გასაგებია. არაფერი მოულოდნელი ამაში არა ყოფილა. ცხადი იყო, რომ, როგორც კი გამოჩნდებოდა საშუალება და დრო მოგვეცემოდა, წარსულისადმი ჩვენი და-

...ნსაზღვრა, მნიშვნელოვანწილად მისი ფორმამაც; ის, რომ ჩვენში არ გაჩნდა, ვთქვათ, რენესანსული ტიპის, ახალევროპული ფორმა, იმითაც იყო, განპირობებული, რომ ეს არ იყო ხურათი. იქ ძალიან დი... ...დი ხნის განმავლობაში რაღაცის გაბედვა ფსიქოლოგიურად ყოვლად შეუძლებელი იყო. ყველაზე ადრეული ნიმუშები ასეთი „გადახრებისა" გვხვდება XVI საუკუნის ბოლოს — XVII საუკუნეში, ჩვენს სინამდვილეში — XVII საუკუნის ბოლო — XVIII საუკუნიდან, და ისიც ეს ხდება იმ კრიზისის გამო, რომელმაც მოიცვა სამართლმადიდებლოს ხელოვნება, თორემ, ბუნებრივად განვითარება ამ მიმართულებით უბრალოდ შეუძლებელი იყო. ამავე მიზეზით არ შეიძლებოდა ყოფილიყო წმინდანის გამოსახულება გამოტანილი ეკლესიის გარეთ, აი ასე, ქუჩაში გამოდგმული. ყველაზე მეტი, შეიძლებოდა მდგარიყო პატარა საყამნე, ან ვთქვათ, ეკლესიების გარე კედლებზე კეთდებოდა. სახატეები. ჩვენ გვაქვს ასეთი შემთხვევები ძველ ეკლესიებშიც, სადაც აშკარად არის და-

...ხომ მთელი გამოფენა საკონკურსო პროექტებისა და ვერც ერთ ქანდაკებაზე, ვერც ერთმა სულიერმა ვერ თქვა: „აი ეს, ასე თუ ისე, მაგონებს დავით აღმაშენებელსო". სულ ერთია, იყო ეს მხედარი, იყო ეს ანაფორაში შემოწყობილი ბერი, თუ მუფერად შემოსილი ქანდაკება, სულ ერთია, ეს იყო რაღაც სხვა. მე კიდევაც დავწერე ადრე და კვლავაც ამაში სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ აქ საქმე ის კი არაა, რომ ჩვენ არ გვყავს კარგი მოქანდაკე ან კარგი მხატვარი, გვყავს ისიც და ისიც, ალბათ, გვეყოლება მომავალშიც, ყოველ შემთხვევაში, თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ჩვენ ვნატრულობთ, მაგრამ არის მეორე ამბავი — მე მეჩვენება, რომ აქ ცნაურდება ქართველობის გარკვე-

...ული დამოკიდებულება საერთოდ ადამიანისადმი და მისი დამოკიდებულება გამორჩეული ადამიანისადმი. მართალია, ძველადვე ჩვენი პორტრეტები, ვთქვათ, შუა საუკუნეების გამოხატულებები, ატარებდნენ ინდივიდუალურ ნიშნებს, ისინი კარგად საცნობია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვაქვს რამდენიმე პორტრეტი. ამ მხრივ ქრესტომათიული მაგალითია თამარ მეფის პორტრეტები და ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ ოთხ გამოსახულებაში ერთი და იგივე ხაკვთები მეორდება, ანუ დასტურდება პორტრეტული მსგავსების ნიშნები, მაგრამ არანაკლებ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ პორტრეტი, ევროპული გაგებით, ჩვენთან დღემდე არ არის. ქართველ მხატვართ, იმათაც კი, ვისაც ფსიქოლოგიურ პორტრეტთან, ევროპული ყაიდის რეალის-...





**ქ-ნი მარიამ დიდებულიძე** — მეტისმეტი რიგად ყველაფერში ვეთანხმები ბატონ დიმიტრის, მაგრამ მინდა კიდევ უფრო მეტად გავუსვა ხაზი იმას, რომ მართლა არავის და არაფერს არ ეკითხება ხელოვნების რა დარგი განვითარდება, რას ექნება პრიორიტეტი ამა თუ იმ ეპოქაში — ქანდაკებას, მხატვრობას, ...



**ქ-ნი ქეთევან აბაშიძე** — მე ყოველივე აქ გამოთქმულს ვეთანხმები, მხოლოდ ყურადღება მსურს გავამახვილო, ზოგადად, ქანდაკებების მასშტაბებზე და მათ მიმართებაზე იმ სივრცესთან, სადაც მათი დადგმაა გათვალისწინებული. ვფიქრობ, ...

... ჩვენი წინაპრები ასეთ საკრახებში. ბუნებრივია, არა იმიტომ რომ ჩვენზე ნაკლებ განათლებულნი იყვნენ და არ იცოდნენ, ან არ შეეძლოთ.

**პუბლიკაცია მოამზადა**
**დალი ბერმანიშვილმა**

# რამდენიმე მოსაზრება აქტუალურ პოლიტიკურ თემაზე

**საქართველო** ბოლო ათეული წლების განმავლობაში ჩაკეტილ, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისაგან იზოლირებულ ქვეყანას წარმოადგენდა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე, დაღი დაასვა თვით ჩვენს ხასიათსა და ბუნებას. დღეს, დგას რა დიდ ისტორიულ მიჯნასთან, საქართველო ცდილობს ამ იზოლაციის გარღვევას. იმ სხვადასხვა ამოცანასა და პრობლემას შორის, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო ურთიერთობაა. საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობას დიდი ისტორიული გამოცდილება აქვს. მოქნილი დიპლომატია და დახვეწილი ტაქტიკა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რის გამოც ურთულეს გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე ჩვენი ქვეყანა ისტორიულ ძნელბედობას თავს აღწევდა. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ის ქვეყნები და უზარმაზარი იმპერიები, რომლებიც საქართველოს განადგურებითა და მოსპობით ემუქრებოდნენ, აღიგავნენ პირისაგან მიწისა, საქართველო კი ცოცხალია და სახავს მომავლის გეგმებს. ცხადია, ყოველივე ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რაც მკვლევართა მხრიდან ახლებურ გააზრებასა და შესწავლას მოითხოვს. ჩვენს ისტორიულ გამოცდილებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ საგარეო ურთიერთობაში. ახალ ისტორიულ ვითარებასა და გარემოში სულ სხვა თვალსაზრისით უნდა გამუქდეს დიპლომატიის სარბიელზე თვალსაჩინო ქართველების — ნიკოლოზ ირბახის (ჩოლოყაშვილი), იოსებ ქართველის, სულხან-საბა ორბელიანის, ბესიკ გაბაშვილისა და სხვების მოღვაწეობა. ქართული დიპლომატიის კვლევა-ძიება ახალ საფუძველზე უნდა დავაყენოთ და წარვმართოთ. სამწუხაროდ, დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი ქართული დიპლომატიის ისტორია და, ცხადია, ქართველმა მეცნიერებმა ამ მიმართულებითაც დროულად უნდა გადადგან ნაბიჯები. გარდამავალ პერიოდში საერთაშორისო სარბიელზე ახალი დიპლომატიური კადრების მოსამზადებლადაც ახლავე უნდა ვიზრუნოთ. ყოველმხრივ მზად უნდა შევხვდეთ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენს აღიარებას, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოების შექმნამდე გარკვეული ეტაპები უნდა გავიაროთ: დავაარსოთ საქართველოს კულტურის ცენტრები საზღვარგარეთ, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით მომავალი საელჩოების წინამორბედნი იქნებიან. ასეთი ცენტრები კულტურული, სამეცნიერო, ტექნიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების საწინდარი იქნება. ცხადია, ეს უნდა მოხდეს სხვადასხვა ქვეყანასთან წინასწარ დამუშავებული მეცნიერული კონცეფციის საფუძველზე. შესაბამისად უნდა გაიხსნას სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ცენტრები ჩვენთანაც. სხვათა შორის, ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი. იმისათვის, რომ საქართველოში არსებული რთული ვითარება უცხოელთათვის ცნობილი და გასაგები გახდეს, საჭიროა უშუალო, ინტენსიური კონტაქტები, ვგულისხმობთ როგორც სახალხო დიპლომატიას, ისე მოსწავლეებისა და სტუდენტების გაცვლას. ამ წესით წარგზავნილ ხალხს უდიდესი დიპლომატიური მისია ეკისრება — საზღვარგარეთ სწორი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ამავე თვალსაზრისით მიზანშეწონილი და აუცილებელია ოფიციალური დელეგაციების გაგზავნა უცხოეთში. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, საკუთარი კორესპონდენტების აკრედიტაციას ამა თუ იმ ქვეყანაში და აქ უცხოელი ჟურნალისტების მოწვევას.

ცხადია, ეს იქნება გარდამავალ პერიოდში ერთგვარი მოსამზადებელი ხანა. მოვა დრო, როცა ჩვენ გამოვზრდით საკუთარ დიპლომატებს, დავაარსებთ საკონსულოებს, წარმომადგენლობებს, საელჩოებს. ჩვენს ხმას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც გაიგონებენ, მაგრამ საამისოდ, როგორც აღვნიშნეთ, დღესვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი, შევარჩიოთ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები ერთადერთი კრიტერიუმით — ცოდნა და ეროვნული პოზიცია. სამწუხაროდ, დიპლომატებს ძირითადად მხოლოდ მოსკოვი ამზადებდა და დიპლომატი შეიძლებოდა გამხდარიყო ის ქართველი, ვინც ნებით თუ უნებლიედ უარს იტყოდა ეროვნულ მრწამსზე და იმპერიის სამსახურში ჩადგებოდა. იმპერიისა, რომელმაც უცხოეთს საქართველოს სუვერენულობის ილუზია შეუქმნა და მოუსპო მას დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალება. ამიტომ, დღეს, როდესაც მომავალი კადრების საკითხი დგება, ალბათ, დროული იქნებოდა გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტების ბაზაზე ჩამოყალიბდეს ცალკე ჯგუფი დიპლომატების მოსამზადებლად. შეიძლება ამ განხრით მეორადი ფაკულტეტის გახსნაც, სადაც მოვიწვევთ პედაგოგებს. სიტყვამ მოიტანა და კარგი იქნებოდა, საქართველოში ლექციების წასაკითხად მოგვეწვია ცნობილი პოლიტოლოგი ელენ კარერ დ' ანკოსი, წარმოშობით ქართველი, მისი ქალიშვილობის გვარია ზურაბაშვილი. ე. დ' ანკოსის, როგორც პროფესიონალის, უდიდეს აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი ვახდა საფრანგეთის აკადემიის წევრი. არცთუ ისე დიდი ხნის წინ არჩეული შესანიშნავი მწერლის მარგარეტ იურსენარის შემდეგ, რაც საფრანგეთის ისტორიაში პირველი და უპრეცედენტო შემთხვევა იყო, უკვე მესამედ საფრანგეთის აკადემიის წევრი ხდება ქალი. აქვე ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ელენ დ' ანკოსი უკანასკნელ ხანს დიდ დაინტერესებას იჩენს საქართველოსადმი, რაც მისი ბოლო პერიოდის მოღვაწეობიდანაც ჩანს.

ასე რომ, დღეს საქართველომ გარე სამყაროსთან ურთიერთობის ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა ინფორმაციის ურთიერთმიწოდება. ჩვენ განსაკუთრებულ დროში ვცხოვრობთ, ეგრეთ წოდებული სწრაფი ინფორმაციის ხანაში. შემთხვევით არ უწოდა ჩვენს ეპოქას ცნობილმა კანადელმა ფილოსოფოსმა მარშალ მაკლუენმა ელექტრონული ერა. მას ინფორმაციის საშუალებები წარმოდგენილი აქვს როგორც ნერვული სისტემა, რომელიც ერთ მთლიან ორგანიზმს საერთო გონთან აკავშირებს. საკმარისია დედამიწის ერთ კუთხეში მოხდეს რაიმე მოვლენა, რომ მაშინვე მთელი მსოფლიო ახდენს მასზე რეაგირებას. ასე რომ, საქართველოში მიმდინარე მოვლენები მყისვე აისახება უცხოეთის პრესასა და ტელევიზიაში. ამიტომ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციის დროულ და ოპერატიულ მიწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ცხადია, ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური, კარგად არგუმენტირებული, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამის ტაქტსა და კილოს, რასაც დასავლეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ამა თუ იმ ინფორმაციის დრო და მომენტი.

უცხოელი სპეციალისტების მაღალი პროფესიული დონე ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ან არ ცდებიან, ანდა ყოველთვის სწორ ანალიზს უკეთებენ სხვადასხვა ფაქტს. დღეს დასავლეთში ძალზედ ხშირად იმოწმებენ, როგორც კურიოზულს, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტის ჯონ გელბრეიტის მიერ 1984 წელს, მ. გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე, გამოთქმულ მოსაზრებას. მაშინ მან დადებითად შეაფასა საბჭოთა ეკონომიკა, მიიჩნია, რომ საბჭოთა ეკონომიკურმა სისტემამ გარკვეული თვალსაზრისით გაამართლა, შეძლო რა შრომითი რესურსების მთლიანი გამოყენება და უმუშევრობის თავიდან აცილება. ჯ. გელბრეიტის ამ მოსაზრებას ძალიან ხშირად იმოწმებენ დასავლეთში როგორც პარადოქსულს და იმის საბუთად, თუ როგორ შეიძლება შეცდეს ასეთი მაღალი რანგის მეცნიერიც. გარდა ამისა, აღნიშნულ ფაქტში იმასაც ხედავენ, თუ რაოდენ ცუდად ჰქონდა გააზრებული დასავლეთს ის, რასაც საბჭოთა სისტემა სინამდვილეში წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე 60-იან წლებში დასავლური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების: ჯ. ჰოფტეტერის, ჯ. ნოვისა და სხვების მიერ გამოთქმული შეხედულებები. ისინი თვლიდნენ, რომ რეპრესიების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში შეიქმნა დემოკრატიული სახელმწიფო. აღნიშნული მცდარი შეხედულებები გაქარწყლდა სათანადო ინფორმაციების წყალობით. ავიღოთ თუნდაც დესტალინიზაცია დასავლეთის ცნობიერებაში, ანტისტალინისტური განწყობილების ტალღა ა. სოლჟენიცინისა და სხვა დისიდენტების მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. აქედანაც ჩანს, თუ ინფორმაციის სწორ მიწოდებას რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში მიმდინარე მოვლენებს საზღვარგარეთ ჰყავს როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი. მომხრეები, ოფიციალურ და არაოფიციალურ წრეებს „საბჭოთა კავშირის ხალხებთან“ დიალოგისკენ მოუწოდებენ. საბჭოთა კავშირი მათთვის არის ის ხომალდი, რომელიც იძირება და რომლის მგზავრებსაც უნდათ გადარჩენა. დასავლეთში ეძებენ დახმარების აღმოჩენის გზებს. ამაზე წერენ, ფიქრობენ, მსჯელობენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი მნიშვნელოვანი ძალებიც არიან, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ იმას, რაც ჩვენში ხდება. არცთუ ისე იშვიათად მათი მცდარი პოზიცია გამოწვეულია სხვადასხვა გზებით, ზოგჯერ ცალკეული პირებისაგან მიღებული ტენდენციური მასალით. ისეთი შემთხვევებიც არის, როცა დასავლეთში ყველაფერი შესანიშნავად იციან, მაგრამ თვალს ხუჭავენ სიმართლეზე, აყენებენ რა ყველაფერზე მაღლა თავის საკუთარ ინტერესებს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასავლეთმა მოსკოვისადმი შემრიგებლური პოზიცია დაიკავა, როცა კრემლმა ბალტიისპირეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა. საქმე ისაა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მხარს უჭერდა მ. გორბაჩოვს, რადგან მისგან გერმანიის გაერთიანებას მოელოდა. აღსანიშნავია, რომ გფრ-მ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომლისთვისაც მოსკოვის ასეთი მოქმედება მიუღებელი იყო. ასე რომ, დასავლეთი ბოლო დრომდე მხარს უჭერდა მ. გორბაჩოვს, გარკვეულად უგულებელყოფდა რა რესპუბლიკის ინტერესებს, თუმცა უკანასკნელ პერიოდში, ბოლო მონაცემებით ამ მიმართულებით ახალი ტენდენციები იკვეთება. ეს ჩანს დასავლეთის რეაქციიდან ბალტიისპირეთში ამჟამად მომხდარ ტრაგიკულ ამბებზე, სადაც თბილისისაგან განსხვავებით, მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა არა კომუნისტური ხელისუფლების დროს, არამედ ლიტვასა და ლატვიაში ეროვნული მთავრობის მმართველობის პერიოდში.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეროვნული მოძრაობის შესახებ ძალიან ბევრს წერენ დასავლეთში, მაგრამ ხშირად ვერ ერკვევიან აღნიშნულ პროცესებში. როგორც ცნობილია, ეროვნული მოძრაობა მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს და მისი ნიველირება და ერთ ყალიბში ჩასმა დიდი შეცდომა იქნებოდა.

ეროვნული მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიზმის პირობებში მიმდინარეობს და ადამიანის უფლებები და სოციალური მდგომარეობა დაცულია. ამიტომ ამ ქვეყნებში ეროვნული მოძრაობა კოსმოპოლიტური ტენდენციებისგან თავდაცვის, საკუთარი ენისა და კულტურის შენარჩუნების შინაარსს ატარებს. მაგალითად, კვებეკში, კორსიკაში და ა. შ. ასე რომ ეროვნული მოძრაობა კაპიტალისტურ სამყაროში და ეროვნული მოძრაობა აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილ სოციალისტურ ბანაკში, აგრეთვე, საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ნიშნებით ხასიათდება. ასე მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში სლოვაკების მოძრაობის მთავარი წარმმართველი ძალა ისტორიულ-კულტურული ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხები და სლოვაკები სლავური მოდგმისანი არიან და მათი ენები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, სლოვაკების დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებაში საკუთარი კულტურისა და ისტორიის მძაფრი გრძნობა თამაშობს გადამწყვეტ როლს. იგივე შინაარსს ატარებს იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ დამატებით აქ ვითარებას ამწვავებს ეკონომიკური ფაქტორიც. ფედერალური სტრუქტურიდან გამომდინარე გადამეტებული ცენტრალიზაციის და ცრუ სოციალიზმის გამო ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. ამ შემთხვევაში ისტორიულ-ეთნიკურმა კავშირმა (გამონაკლისია კოსოვოს ალბანელები) ვერ გაუძლო ცენტრის — ბელგრადის ეკონომიკურ დაწოლას. ასე რომ, ხშირ შემთხვევაში ეროვნულ მოძრაობას სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა მიზნები და მოტივები განაპირობებს: ისტორიულ-კულტურული, ეკონომიკური და მესამე, უაღრესად მწვავე და მნიშვნელოვანი — დემოგრაფიული ფაქტორი. საქართველოს ეროვნულ მოძრაობას სამივე ეს ნიშანი ახასიათებს, რაც, ცხადია, ართულებს ჩვენს მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ იგივე ნიშნებით ხასიათდება ბალტიისპირეთის მოძრაობაც, რაც ჩვენი ინტერესების თანადამთხვევას იწვევს და ერთმანეთის მოკავშირეებად გვხდის. ეს ურთიერთშორის გარკვეული კოორდინაციის აუცილებლობას მოითხოვს.

ზემოთ აღნიშნულიდან გასაკვირი არ არის, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო დიდად აქტიურობენ და არც ის არ არის შემთხვევითი, რომ დასავლეთის სამყაროში ბალტიისპირეთსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ხშირად ერთ სიბრტყეში განიხილავენ. მაგრამ ბალტიისპირეთს ჩვენთან შედარებით ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ევროპის ყველაზე წყნარ და განვითარებულ რეგიონში მდებარეობს. გარდა ამისა, ბალტიისპირეთს უცხოეთში საკმაოდ ძლიერი ემიგრაცია ჰყავს, რომელიც აქტიურად ეხმარება ბალტიისპირეთის ხალხის ეროვნულ მოძრაობას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და ბალტიისპირეთში მწვავედ დგას დემოგრაფიული პრობლემა. ამ თვალსაზრისით ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან სომხეთი და აზერბაიჯანი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან. ამერიკელმა სოციოლოგმა მაიკლ ბერნშტამმა სულ ახლახან შეისწავლა დემოგრაფიული ტენდენციები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და იმ მასალის საფუძველზე, რომელიც მოიძია, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ რესპუბლიკებში ორმოცდაათი წლის შემდეგ დაახლოებით სამნახევარი მილიონი ქართველი და სამჯერ მეტი აზერბაიჯანელი და სომეხი იქნება. სხვათა შორის ორივე ამ ერმა დემოგრაფიული სიტუაციისთვის ბევრი რამ გააკეთა ფარული, თუ აშკარა პოლიტიკის წყალობით. მათ თითქმის არ ჰყავთ კომპაქტურად დასახლებული სხვა ხალხის წარმომადგენლები, საამისოდ უკანასკნელ პერიოდში ყარაბახის კონფლიქტითაც ისარგებლეს. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც დასავლეთში მიიჩნევენ, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ყარაბახის ნიადაგზე აღმოცენებულმა კონფლიქტმა დიდი დარტყმა მიაყენა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. აქვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ვინც ჩაიფიქრა და გააღვივა ეს კონფლიქტი, ასეთ ამოცანას ისახავდა მიზნად.

საქართველოში დემოგრაფიული სურათის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი მახინჯი ეკონომიკაცაა. ეკონომიკური სტრუქტურები ისეა ჩაფიქრებული, რომ საქართველო მიჯაჭვულია იმპერიულ ეკონომიკურ სისტემას, რაც ჩვენი რესპუბლიკის ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე ხდება. იმპერიული ეკონომიკა პარტოკრატიისა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას ემსახურება და არა ხალხის ინტერესებს. ფაქტია, რომ მსოფლიოს სოციალიზმის მშენებელ სხვადასხვა ქვეყნებში ამ სისტემის გადანერგვამ გამოიწვია მძიმე ნეგატიური შედეგები. საბჭოთა კავშირის მახინჯ ეკონომიკაზე ჯერ კიდევ ეგრეთ წოდებულ „პერესტროიკამდე“ წერდნენ უცხოელი მეცნიერები და პოლიტოლოგები. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ აღნიშნული ეკონომიკა ეროვნული მოძრაობის გამწვავებისა და აფეთქების ერთ-ერთი მიზეზი გახდებოდა საბჭოთა კავშირში, რასაც მაშინ საბჭოთა მეცნიერები კატეგორიულად უარყოფდნენ, ახლა კი იძულებული არიან აღიარონ ამ პროგნოზის სისწორე. სხვათა შორის ამასვე წერდა თავის დროზე ელენ დ' ანკოსიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას სამივე ნიშანი — ეკონომიკური, დემოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული ახასიათებს, მაგრამ ქართული ეროვნული მოძრაობის წარმმართველი მაინც ისტორიულ-კულტურული ფაქტორია. ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი უძველესი ისტორია და კულტურა, სახელმწიფოებრივი გამოცდილება გავაცნოთ მსოფლიოს. როდესაც ჩვენს პრობლემებზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავაგებინოთ ყველას, რომ ჩვენთვის უცხოა ეროვნული ექსტრემიზმი, რომ ჩვენ ანგარიშს ვუწევთ როგორც საშინაო ვითარებას, ასევე ვითვალისწინებთ საგარეო მდგომარეობასაც. ჩვენ უბრალოდ უარს ვამბობთ მოძველებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებზე, რომელიც დამღუპველია ჩვენთვის, თვითონ საბჭოურ სისტემას კი გამოეცალა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური საფუძვლები. ბოლშევიკების მიერ ენის, სამშობლოს უარყოფა და სხვა მათი თეორიები, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, კრახით დამთავრდა. რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორს, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის უპერსპექტივობა კომპარტიამაც დაადასტურა. თვით რსფსრ-ს ლიდერმა ბ. ელცინმაც ღიარა, რომ მართვა „ცენტრიდან“ უაზროა. ფაქტობრივად დღეს ვინც ამ სისტემას იცავს, ჟურნალ „სობესედნიკის“ აზრით, არის მინისტრთა საბჭო (ახლანდელი მინისტრთა კაბინეტი), რომლის უკანაც სამხედრო სამრეწველო კომპლექსი დგას, ისევ ვიწრო წრის იმპერიული ინტერესები, რომელსაც ამდენი ხალხისა და ადამიანის ბედი ეწირება. ასე რომ, ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, როცა ვცდილობთ თავი დავაღწიოთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ცენტრს და უარს ვამბობთ იმაზე, რაც მოძველებულია და დამღუპველი ჩვენთვის. ამ პოზიციაზეა საბჭოთა კავშირის პროგრესულ-დემოკრატიული ნაწილიც. ეს აშკარად დაგვანახა ბალტიისპირეთში სულ ახლახან მომხდარ მოვლენებზე საბჭოთა ხალხებისა და მათ შორის რუსეთის დემოკრატიული ძალების რეაგირებამ. რუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თში დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საკუთრივ რუსეთისთვის, არამედ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვისაც. განა ნიშანდობლივი არ არის, რომ უკვე რუსეთიდანაც გაისმის ხმები საბჭოთა კავშირის ყველა დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციისა და კოორდინაციის თაობაზე. რუსეთის გარკვეულმა ნაწილმა გააცნობიერა და შეიგნო, რომ რუსი ხალხის საუკეთესო ძალები იხარჯება მოძველებული იმპერიის შენარჩუნებისათვის. ამ პოლიტიკის შედეგად რუსი ერი გადაშენებისა და კატასტროფის წინაშეა. არსებობს ერის მდგომარეობის, მისი ფიზიკური სიჯანსაღის, გამრავლების, ალკოჰოლის მოხმარებისა და სხვა განმსაზღვრელი სკალა. თვით რუსი მეცნიერების მიერ ამ სკალის საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით ამჟამად რუსები არსებული სკალის ზღვრული ნორმის დაბლა არიან. თავის დროზე რუსეთისათვის სოციალური რევოლუციის დამღუპველ შედეგებზე წერდნენ თვით რუსული ლიტერატურის კლასიკოსები ნ. გოგოლი, ლ. ტოლსტოი და სხვები. ისინი თვლიდნენ, რომ რუსეთი სულიერებისა და ქრისტიანობის და არა ნგრევისა და კატაკლიზმების გზით უნდა წასულიყო. განა არ ახდა თ. დოსტოევსკის გენიალური წინასწარმეტყველება, რომელიც წერდა, რომ რუსული ამბოხების რევოლუციური წითელი ნაჯახი მოცელავს რუს ერს. რუსეთის ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ მან ყურად არ იღო თავისი საზოგადოების მოწინავე ნაწილის გაფრთხილება და წავიდა სულ სხვა გზით. დღეს ისტორია მეორდება. რუსეთს კვლავ აფრთხილებენ ა. ბუკოვსკი და სხვები, რომლებსაც რუსეთის გადარჩენის აუცილებელ პირობად მიაჩნიათ რესპუბლიკების განთავისუფლება, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლა. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთმა იმდენი „გადაყლაპა", რომ ვეღარ ინელებს და კვდება. ასე რომ, რუსეთმა კვლავ თუ ყური არ დაუგდო გონიერების ხმას და გაჰყვა დემაგოგი პოლიტიკოსების გზას, რომლებიც დღევანდელი ინტერესებით ცხოვრობენ და მოქმედებენ ლუი XIV პრინციპით, „ჩემს შემდეგ წარღვნას წაუღია ყველაფერი", იგი უკვე საბოლოოდ განიცდის კრახს.

ამგვარად, როგორც საქართველოში, ისე მთლიანად საბჭოთა კავშირში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, მოითხოვს სერიოზულ ანალიზს. ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორი ინფორმაციის გატანას, მაგრამ ცხადია არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის გააქვს ეს ინფორმაცია, კერძო პირს, რომელიც შეიძლება სუბიექტური იყოს, რომელიმე პარტიის პოზიციაზე მდგომ გაზეთს, თუ ოფიციალურ საინფორმაციო გამოცემას. ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ისეთი სამსახური, რომელსაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სწრაფი ინფორმაციის, ანუ ელექტრონულ ხაზში ოპერატიული კავშირი ექნება მსოფლიოს ყველა მსხვილ სააგენტოსთან. ოპერატიულადვე უნდა მოხდეს ყველა შემოსული მასალის ანალიზი სპეციალური ექსპერტების მიერ. ამავე დროს კარგი იქნება დაარსდეს სხვადასხვა ენაზე გამომავალი გაზეთი, რომელიც ოფიციალურ ცნობებთან ერთად სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პოზიციას და საზოგადოდ საქართველოში არსებულ ვითარებას გააცნობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროს.

ეს არის ის მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა გადაიჭრას.

**მანანა ზაზაშვილი,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.**



# ეიფორია საბჭოთა კავშირის მიმართ დამთავრდა

**შვეიცარიაში 31 იანვრიდან 6 თებერვლამდე მიმდინარეობდა მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების ტრადიციული შეკრება, სადაც მიწვეული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ზვიად გამსახურდია და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გიორგი ხოშტარია.**

**ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ბატონ გიორგი ხოშტარიას საუბარი დავოსში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ.**

— ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორჯერ მომიხდა გამგზავრება შვეიცარიაში. ერთხელ ვიყავი შვეიცარულ-იუგოსლავური ფირმის მიწვევით, სადაც ქართველები თანამშრომლობენ. ლუგანოში არის ქართული ფირმა, რომელსაც აქვს ერთობლივი საწარმო იუგოსლაველებთან და შვეიცარიელებთან. ჩვენ მოვახერხეთ დაგვეკავშირებინა ეს ფირმა შვეიცარიის ნომერ მეორე ბანკთან, შვეიცარიის ბანკი კი, მოგეხსენებათ, მთელს მსოფლიოში სტაბილურობის განსახიერებაა. შვეიცარიელები ძალიან ბევრ, მნიშვნელოვან ბიზნესზე დავითანხმეთ. იმედი გვაქვს ეს საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, პირველივე ვიზიტის დროს ლაპარაკი გვქონდა პოლიტიკურ საკითხებზე შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსთან და განყოფილების წევრებთან. ეს შეხვედრები საინტერესო იყო, ერთის მხრივ, იმით, რომ მივიღეთ ინფორმაციები თუ რა განწყობაა საბჭოთა კავშირის თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების, დღევანდელი რეალური სიტუაციის მიმართ დასავლეთში და, მეორეს მხრივ, გავიტანეთ ინფორმაცია ჩვენთან მიმდინარე პროცესების შესახებ.

გამოიკვეთა აზრი, რომ გორბაჩოვის რეიტინგი ძლიერ ეცემა, რეაქციისაკენ შემობრუნება, რომელიც საბჭოთა კავშირში ხდება, შეუმჩნეველი არ დარჩენია დასავლეთს.

მეორედ ვიყავი დავოსში, ესაა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეკრება მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენებისა, რომელიც სტაბილურად ეწყობა ყოველ წელს. შვეიცარიაში მიპატიჟებული იყო ბატონი ზვიადი, მაგრამ მოგეხსენებათ, გარკვეული მიზეზების გამო ვერ წავიდა. მეც მივიღე მიწვევა დავოსის ხელმძღვანელებისაგან და რადგანაც ბატონმა ზვიადმა ვერ შეძლო წასვლა, ჩემი გამგზავრება აუცილებელი შეიქნა.

დავოსში საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე პირები იკრიბებიან, წლევანდელ ფორუმზე მოწვეული იყო ბეიკერი, რომელმაც ომის გამო ვერ შეძლო ჩამოსვლა, რაიმონ ბარი, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ცოტა მოგვიანებით ჩამოვიდა. ამ შეკრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მარტენსი — ბელგიის პრემიერ-მინისტრი, გენშერი — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება პოლიტიკაში; დემიკელისი — იტალიის პრემიერ-მინისტრი. იყვნენ აგრეთვე პოლონეთის, რუმინეთის პრემიერ-მინისტრები; ჩეხოსლოვაკიის ფინანსთა მინისტრი, მსოფლიოს სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან, ლათინური ამერიკიდან. ფაქტობრივად მთელი მსოფლიო იყო წარმოდგენილი.

ეფექტი, რა თქმა უნდა, უფრო დიდი იქნებოდა, რომ იქ ჩაბრძანებულიყო ბატონი ზვიადი. დაგეგმილი იყო სიტყვით მისი გამოსვლა პლენარულ სხდომაზე. ეს პატივი ერგო მხოლოდ ათ პოლიტიკოსს იქ მყოფი ათას ასი კაციდან.

საბჭოთა კავშირიდან მიწვეულნი იყვნენ ვოლსკი, სობჩაკი. ბალტიისპირელი რუიტელი, კრავჩუკი და მე ვიყავით ცალკე, არა როგორც საბჭოთა კავშირის, არამედ როგორც რესპუბლიკების წარმომადგენლები. ამ ფორუმის ორგანიზატორთა შორის გამოვყოფდი სადრუდინ ალა ხანს და პროფესორ ბოშს. ორივე ძალიან ცნობილი პიროვნებაა პოლიტიკისა და ბიზნესის წრეებში. განსაკუთრებით ალა ხანი, ის არის გაეროს წარმომადგენელი, გარდა ამისა ერთ-ერთი მდიდარი პიროვნებაა მსოფლიოში, ზუსტად არც კი იციან მისი ქონების ზომა, ისმაილიტების ორდენის მეთაური, მუჰამედის პირდაპირი შთამომავალი [illegible], ბუშის მეგობარი, მასთან ერთად სწავლობდა კოლეჯში.

ეს ფორუმი განსაზღვრულია როგორც პლენარული სხდომებისათვის, ასევე პირადი კონტაქტების დამყარებისათვისაც. დილით იწყებოდა სხდომები, ხოლო შემდეგ მრგვალი მაგიდის გარშემო იმართებოდა მსჯელობა აქტუალური, ყველასათვის საინტერესო საკითხების ირგვლივ, თავდაპირველად როგორც ეგზოტიკურ ფრინველს ისე მიყურებდნენ, მაგრამ როცა გავაცანი თავი, ვინა ვარ, რა ქვეყნიდან, რას მოვითხოვთ, დიდი სიმპათიით განეწყვნენ. მრგვალ მაგიდასთან საუბარი პრესკონფერენციის სტილში მიმდინარეობდა. სრულიად თავისუფალ, გულახდილ, შეუზღუდველ და უშუალო ატმოსფეროში, რადგან ტელე რეპორტაჟები გადაიცემოდა მხოლოდ პლენარული სხდომებისა, ხოლო მრგვალ მაგიდასთან საუბრები დახურული იყო, გარდა ამისა სადილის დროს მყარდებოდა მეგობრული კონტაქტები. ერთ-ერთ სადილზე გავიცანი დიუსელდორფელი მილიონერი ვაგნერი, გავიცანი, აგრეთვე, ჰანზელკა — ჩეხი პოპულარული ჟურნალისტი, რომელსაც პირადი მეგობრობა აკავშირებს ჰაველთან. დავუახლოვდი მრავალ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეს.

საქართველოსადმი ინტერესი აშკარად დიდი იყო, რადგანაც დასავლეთისათვის საქართველო ახალი სამყაროა, რომელიც შეიძლება მათი ბიზნესის განვითარების კიდევ ერთი წყარო გახდეს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კი თავად ის ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ფიგურირებდა ამ ფორუმზე, როგორც დამოუკიდებელი აზროვნების, მიზნების, იდეების, მებრძოლი ქვეყნის წარმომადგენელი.

დავოსში გამოიკვეთა აზრი, რომ ილუზიები, ეიფორია საბჭოთა კავშირის მიმართ დამთავრდა. დაისვა კითხვა, ვის მივმართოთ ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელებისას, ცენტრს თუ რესპუბლიკებს და რა თქმა უნდა, ჩვენი პასუხი ერთი იყო — რესპუბლიკებს, რეგიონებს და არავითარ შემთხვევაში ცენტრს!

ფორუმზე სამი დღე დავრჩი, იმედი გვაქვს, რომ ამ დონის შეხვედრებზე ჩვენი წარმომადგენლების დასწრება სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

**მოამზადა**
**ირმა ჩხეიძე**

# ვაცლავ ჰაველი

# წერილი გუსტავ ჰუსაკს

**ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, პატივცემულ ბატონ დოქტორ გუსტავ ჰუსაკს**

წუთი, როდესაც ასეთი ტორნადო გადაიგრიალებს ხელისუფლებით სტაბილიზებული სტრუქტურების დამყაყებულ სამყაროზე, სრულებითაც არაა ყველა ჩვენგანისათვის, რომლებიც ხელისუფლების საზღვრებს გარეთ ვიმყოფებით, მხოლოდ გართობის საგანი. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ბოლოსდაბოლოს ეს ჩვენც გვეხება: **განა არ არის ეს ჩუმი და ხანგრძლივი დაწოლა სიცოცხლის იმ მუდმივად დათრგუნულ და მიუხედავად ამისა, მაინც დაუთრგუნავ საერთო-საზოგადოებრივი მოთხოვნილებების, ინტერესების, წინააღმდეგობების და დაძაბულობისა, რომელნიც ყოველთვის კვლავ თავიდან და თავიდან იწვევენ ხელისუფლების ამგვარ რყევებს?** და მაშ რა გასაკვირია, რომ საზოგადოება ასეთ წუთებში ყოველთვის ისევ ფხიზლდება, ილტვის მისკენ და უფრო აგზნებულად აღიქვამს, ძალევს თავის თავზე ზემოქმედების საშუალებას და ცდილობს მის გამოცნობას! ასეთი რყევები ყოველთვის აღვიძებენ რაღაც იმედს ან რაღაც შიშს: — თითქმის ყოველთვის აღებენ — ნამდვილად თუ მოჩვენებით — ასპარეზს ცხოვრების სხვადასხვა ძალების და მიზნების რეალიზაციისათვის; თითქმის ყოველთვის აჩქარებენ საზოგადოებაში სხვადასხვა მოძრაობას. ამავე დროს ყოველივე ეს თავის თავში თითქმის ყოველთვის შეიცავს — სწორედ ღრმად ხელოვნური სტრუქტურების ცხოვრებასთან იმგვარი დაპირისპირების წყალობით, როგორიცაა მმართველობის ეს მოულოდნელი რყევები — დიდ და წინასწარ გაუთვლელ რისკს.

ვეცდები მკაფიოდ გავაშუქო ასეთი რისკის ერთი ტიპი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 2, 3, 5, 1 (6), 2 (7).

თუ ადამიანი ყოველდღიურად უსიტყვოდ ემორჩილება უვიც ხელმძღვანელს, თუ ყოველდღიურად სერიოზული სახით ასრულებს რიტუალებს, რომლებიც სინამდვილეში მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის, თუკი ანკეტაში უნდომლად წერს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ფიქრობს და თანახმაა საჯაროდ თქვას უარი საკუთარ თავზე, თუკი ყოველგვარი გართულების გარეშე თვალთმაქცობს, რომ ესიმპათიურება ანდა უყვარს ის, რის მიმართაც სინამდვილეში გულგრილია, ან სიძულვილს გრძნობს, ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მასში დაშრა ერთ-ერთი ძირითადი ადამიანური გრძნობა: **დამცირების გრძნობა.**

პირიქით: და თუმცა ამაზე არავინ არ ლაპარაკობს, ადამიანები ძალიან ზუსტად გრძნობენ, რით არის გამოსყიდული მათი გარეგნული სიმშვიდე: **მათი ადამიანური ღირსების ხანგრძლივი დამცირებით.** რაც უფრო ნაკლებად ებრძვის ამ დამცირებას უშუალოდ — თუნდაც ამაში ეხმარებოდეს უნარი განდევნოს იგი თავისი შეგნებიდან და თავი მოიტყუოს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ანდა უბრალოდ კბილი კბილს დააჭიროს — მით უფრო ღრმად აღიბეჭდება ყოველივე ეს მის გრძნობით მეხსიერებაში — ის, ვისაც შეუძლია უშუალო წინააღმდეგობა გაუწიოს თავის დამცირებას, შესძლებს ადვილად დაივიწყოს იგი, და პირიქით, ვინც შესძლებს დიდი ხნის განმავლობაში მის მდუმარედ გადატანას, შესძლებს დიდი ხნითაც დაიმახსოვროს იგი, და, მაშასადამე, **სინამდვილეში არაფერი არ რჩება დავიწყებული:** მთელი გადატანილი შიში, მთელი იძულებითი თვალთმაქცობა, მთელი ეს აუტანელი და ულირსი ჯამბაზობა და, ალბათ, ყველაზე მეტად, გამოჩენილი სიმხდალის გრძნობა — ყველაფერი ეს სადღაც საზოგადოებრივი შეგრძნების ფსკერზე ილექება და გროვდება და ეს ყველაფერი იქ უჩუმრად მუშაობს.

ეს, რა თქმა უნდა, ჯანსაღი სიტუაცია არ არის: წყლული დროულად არ არის ოპერირებული, ნელ-ნელა ჩირქდება, ჩირქი ვერ გამოდის სხეულიდან, საწამლავი ვრცელდება მთელ ორგანიზმში; ბუნებრივ ადამიანურ გრძნობას არ შეუძლია დიდხანს ობიექტივიზირება და მისი ხანგრძლივი ტყვეობა და წმინდა გრძნობითი მეხსიერება ნელ-ნელა გადადის არაჯანსაღ კრუნჩხვებში, რაღაც შხამიანში — ისევე, როგორც არასრულყოფილი დაწვით წარმოიქმნება ნახშირჟანგი.

და რა გასაკვირია, რომ იმ წუთში, როდესაც საფარველი გასკდება და ცხოვრების ლავა გადმოხეთქს, მასში წარსული დანაშაულის გამოსწორების გაბედული მისწრაფების გვერდით და სიმართლის და ცვლილებათაკენ სწრაფვის ცხოვრებისეული მოთხოვნების ადეკვატურად ჩნდება ბოღმიანი სიძულვილის, ღვარძლიანი შურისგების ელემენტები და რაღაც ციებცხელებიანი სწრაფვა დაუყოვნებელი დაკმაყოფილებისა მთელი გადატანილი დამცირების გამო! (ამ ვნებების განუსჯელი და ბშირად სიტუაციისათვის შეუფერებელი ხასიათი მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს ბუნდოვანი წინათგრძნობიდან, რომ ეს აფეთქება მოგვიანებით მოდის, იმ პერიოდში როცა უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, იმიტომ, რომ დაკარგა თავისი აქტუალური იმპულსი და ამასთანავე აქტუალური რისკიც, და როცა უკვე რაღაცის სამაგიეროა, რაც სინამდვილეში სულ სხვა დროსა და ადგილზე უნდა მომხდარიყო!).

**ჩეხურიდან თარგმნა**
**მაკა ნაჭყებია**

**(გაგრძელება იქნება)**



# ადერკი

**რუბრიკა „საქართველოს მეფეები“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ არსებობდა, მიზნად ისახავდა ყოველი ჩვენი ხელმწიფის შესახებ მოკლე ისტორიული ცნობის გამოქვეყნებას. დაიბეჭდა რამდენიმე პუბლიკაცია (ფარნავაზი — № 4, 1989; საურმაგი — № 5, 1989; მირიან I — № 1 (6), 1990; ფარნაჯომი — № 6 (11), 1990; მირიან II — № 11 (16) 1990), მაგრამ შემდეგ რუბრიკამ არსებობა შეწყვიტა.**

**გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ აღადგენს და აგრძელებს რუბრიკას „საქართველოს მეფეები“.**

**„ქართლის** ცხოვრების“ მიხედვით ქართლის მეცხრე მეფე იყო არბაკი, ძე მირიან II-სა. „ამან განაშორა ნენქარ ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრისი, და მატა სიმაგრესა უფლისციხისასა. და იყო ესე ძლიერი ძალითა, დიდი და გოლიათი“.

მაგრამ ქართლის სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ადერკი, „ძე ქართამისი, ასულის წული ბარტამ მეფისა“. ქართლის მეშვიდე მეფე ბარტამს (რომელიც მირიან II-მ ბრძოლაში მოკლა) „არა ესვა ძე, არამედ ასული ერთი. და სიცოცხლესავე მისსა მოუყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ, რომელსა შესდგომიდა ფარნავაზიანობა ფარნავაზისი და ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმაგისაგან, ასულისაგან ქუჯის ცოლისა“.

ადერკი „იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი, მრავალგზის გამოცდილ იყო ბრძოლასა სომეხთა და ასურთასა, და მას მოუკლა მრავალი ბუმბერაზი და სახელოვან ქმნილ იყო იგი“.

ადერკიმ „მოითხოვნა სპანი სომეხთა მეფისაგან. და მოსცნა მას და წარუმართა არბაკს, ქართველთა მეფესა ზედა, დედის ძმასა მისსა“. მოწინააღმდეგეებმა თრიალეთს დაიბანაკეს. „ითხოვა ბრძოლა არბაკ ადორკისა... ალიზაბნეს ორთავე ხმითა სასტიკითა და მიეტევნეს ურთიერთას, და იწყეს ორთავე გურემა ორორი, და ვერა ჰკუეთეს საჭურველსა ერთმანერთისასა; ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ორორები, და აღმოიღეს ჩუგლუგები, და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა. ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგები იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგუანდის ხმა იგი ხმასა მას უროს მჭედლისასა, რომელი ეცემის გურდემლსა, და ხმა ზახილისა მათისა მსგავსი იყო ქუხილისა. მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას...“ ორთაბრძოლა მეორე დღეს განახლდა, ადერკიმ ისარი სტყორცნა და არბაკი განგმირა. ადერკიმ მიმართა ქართველებს: „მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა და სუესა ჩემსა მოუცემია მეფობად ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემგან კეთილი და სიხარული...“ ქართველებმა შეიწყნარეს ადერკის ბრძანება, თქვეს: „შენ გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა ნათესავთა ფარნავაზიანთა. რადგან მოკუდა მეფე ჩუენი, და ვმადლობთ სუესა ჩუენსა, შენ ხარ მეფე ჩუენი, რამეთუ მოგუეცი საზღურად მეფისა ჩუენისა შვილივე მეფეთა ჩუენთა, გოლიათი და სახელოვანი“.

ადერკი გახდა ქართლის მეათე მეფე, „დაჯდა მცხეთასა და მეფობდა კეთილად“. 30 წლისა გამეფდა და იმეფა 57 წელი. „ხოლო პირველსა წელსა, მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე ბეთლემს ურიასტანისასა...“

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ადერკის დროს მცხეთელი ებრაელები, „მეცნიერნი სჯულისანი“ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი წარვიდნენ იერუსალიმს, „მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისასა და მათ მოიღეს“... ასევე, „ადორკის მეფობასა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სიმონ ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცია მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა...“ ადერკის ეს რომ გაუგია, განრისხებულა, „იძულებით კუალად მოაქცივნა მეგრელნი; და დამალნეს ხატნი და ჯუარნი“.

ადერკის ჰყავდა ორი ძე, ბარტომი და ქართამი, „რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი; ერეთითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ეგრისისა, ესე მისცა ბარტამს... ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი ყოველი, ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი, მისცა ქართამს... და მოკუდა ადერკი“.

მოამზადა
**ირაკლი ლომოურმა**
ნახატი
**ლევან ჭოლოშვილისა**

## ყველიერი

**საგაზაფხულო** დიდი დღესასწაულისთვის, ბრწყინვალე აღდგომისთვის მზადება „დაურწყებებით“ იწყება, რომელთა თარიღები აღდგომის მიხედვით იცვლება. არჩევენ ხორციელის დაურწყებას და ყველიერის დაურწყებას. ყველიერიდან დაწყებული აღდგომის დადგომამდე პერიოდს თავისი ფერთა სიმბოლიკა აქვს: ყველიერი თეთრია („თეთრი ორშაბათი“), დიდმარხვა — შავი („შავი ორშაბათი“). აღდგომის წინა კვირა, ვნების [illegible] — წითელი („წითელი პარასკევი“).

ყველიერის ხანგრძლივობა ერთი კვირაა. მისი ყოველი დღე საქართველოში მრავალფეროვანი ხალხური წეს-ჩვეულებებით გამოირჩევა. ამ პერიოდში ხდება საკვების ნაწილობრივი აღკვეთა. ხორცი არ იჭმევა. ძირითად საკვებს ყველიერში წარმოადგენს ყველი, კვერცხი, ღომი (დასავლეთ საქართველოში), ხაჭაპური, ყველიანი პურები და სხვ. სამეგრელოში მაგალითად სხვადასხვა საკვების დასამზადებლად გამოიყენებოდა ყველი, რომელსაც აგვისტოში, მარიამობაზე სპეციალურად ყველიერისთვის მიწაში ინახავდნენ 10-20 კილოგრამიანი ხალამით.

ყველიერი წლის ერთ-ერთი ყველაზე მხიარული და ბედნიერი დრო იყო. იცოდნენ საქანელების ჩამობმა და მრავალგვარი გართობა-თამაშობანი.

საქართველოში ყველიერის პირველი დღე რამდენიმე სახელითაა ცნობილი: თეთრი ორშაბათი, ყვავილობა ანუ იგივე ყვავილბატონების დღე, გრძნეულთ ღამე და სხვ.

თეთრ ორშაბათს რაჭაში იცოდნენ ყველიანი განატეხის (რიტუალური პურის) გამოცხობა, საქონლისთვის და ვენახისთვის ლოცვას აღავლენდნენ.

ძველად გურიაში იმ პირებს, ვისაც მოხდილი არ ჰქონდა ყვავილი, ყველიერის ორშაბათს — ყვავილობას (ყვავილბატონების დღეს) ეკრძალებოდათ პირის დაბანა, პურის გამოცხობა, წერა-კითხვა. ფანჯრებზე ფარდებს აფარებდნენ და საღამოთი გარეთ არ გადიოდნენ. თუ სოფელში ვინმე ყვავილ-ბატონებით იყო ავად, აკრძალული იყო თოფის სროლა, რათა ბატონების „რისხვა“ არ გამოეწვიათ და ამით არ გაერთულებინათ ავადმყოფობა. ადგილობრივი რწმენით, ვინც ამ დღეს აღნიშნულ წესს არ დაიცავდა, იგი ავად გახდებოდა.

ქვემო სვანეთში ყველიერის დროს მოსიმღერე ხალხი შეიკრიბებოდა და „ლოგუშედას“ || „ლაგუშედას“ სიმღერით დაივლიდნენ ოჯახებს. მომღერლებს გარეთ გამოუტანდნენ ლობიოს, ყველს და სხვ. სანამ ისინი მღეროდნენ, ერთ რომელიმე ბიჭს კანაფით დაბურავდნენ. მას ხის ხმალი ჰქონდა. იგი სახლში უნდა შევარდნილიყო და საქვაბისათვის დაერტყა ხმალი. ბიჭს გამოეკიდებოდნენ ქალები. თუ დაეწეოდნენ, კანაფს დააგლიჯავდნენ და ქათმებს დაუყრიდნენ — ბევრი ქათამი რომ ჰყოლოდათ იმ წელს.

ყველიერის სამშაბათს ლეჩხუმში იცოდნენ „საკაცურობის“ სახელით ცნობილი თამაში. კაცები ქალებს ღვედით ან თოკით დაიჭერდნენ, დაჭერილი ქალი ვალდებული იყო კაცისთვის ყველიანი პური გამოეცხო და ღვინო მოეტანა მისთვის. მეზობლობა შეიკრიბებოდა და ცდილობდნენ მეტი ქალი დაეჭირათ, რომ მათ ხარჯი გადაეხადათ.

თუშეთში ყველიერის სამშაბათს „მჭრელთ უქმეს“ იცავდნენ რათა თაგვს, ჩრჩილს, კალიას და სხვ. მათი სარჩო-საბადებლისათვის ზიანი არ მიეყენებინა.

ყველიერის ოთხშაბათს ლეჩხუმში გოგო-ბიჭები ერთად დადიოდნენ ყანაში მომუშავე ხალხის „დასაბორკავად“. დაბორკილ ადამიანს გაუშვებდნენ რომელიმე მოსახლესთან, ის გაუხსნიდა ხელს და მისცემდა პურ-მარილს. გარდა ამისა, ყველიერის ოთხშაბათი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (ქართლი, მთიულეთ-გუდამაყარი და სხვ.) რჩილთმლილთ უქმე იყო.

ყველიერის ხუთშაბათი შიოობა იყო (შიო მღვიმელი, ერთ-ერთი ცამეტი ასურელ მამათაგან, რომელსაც ეკლესია ყველიერის ხუთშაბათის გარდა მოიხსენიებს 7, 9 მაისს და 1 ივნისს). მთიულეთ-გუდამაყარში ამ დღეს „დათვის უქმე“ ანუ „დათვქადარობა“ იცოდნენ და საქონლის სალოცავ დღედ იყო მიჩნეული. ქვემო სვანეთში ყველიერის ხუთშაბათს ლამარია ცაიშ-ს ეძახდნენ. ამ დღეს უშვილო ხალხი ქუთაისში მიდიოდა სალოცავად.

ყველიერის პარასკევს ქართლში „კვირტის უქმე“ იცოდნენ; მთიულეთ-გუდამაყარში, კახეთში „დამწვრის უქმე“ (ქართლში დამწვრის უქმე დიდმარხვის პირველ ოთხშაბათს და პარასკევს იყო). კვირტის უქმეს ვაზისთვის უქმობდნენ მამაკაცები. დამწვრის უქმეს ხანძრის გაჩენის საწინააღმდეგოდ იცავდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყველიერის შაბათს (ზოგან კი კვირას) საღამო ჟამს კვერცხის ნაჭუჭში ჩაყრიდნენ დარჩენილი საკვების ნამცეცებს ბუზებისთვის, კოღოებისთვის, რწყილებისთვის, თაგვებისთვის და სხვ. შემდეგ ზემოდან ნაჭუჭს დაახურავდნენ, შემოივლებდნენ თავზე, წაიღებდნენ სოფლის განაპირა ადგილას და გადააგდებდნენ. წამღებს სახლში დაბრუნებისას უკან არ უნდა მოეხედა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებით, თაგვები უკან გამოჰყვებოდნენ და სხვ.

რაჭაში ყველიერის შაბათი ცერემარობის სახელით იყო ცნობილი და ვენახისთვის იყო განკუთვნილი. ოჯახის უფროსი კაცი ვენახში ლერწის ძირში შეინახავდა რკინას, ამას „ვენახის დარკინვა“ ეწოდებოდა და გამიზნული იყო მტევნის სისაღისათვის.

ყველიერის კულმინაციას საყველიერო კარნავალი — ბერიკაობა წარმოადგენს (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იგი დიდმარხვის პირველ ორშაბათს სრულდებოდა). ბერიკაობა ისევე, როგორც სხვა ანალოგიური წეს-ჩვეულებები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში, აერთიანებს რამდენიმე ძირითად მომენტს: ტრავესტიზმს, მეფის არჩევას, რიტუალურ ქორწილს, ცეკვებს, რიტუალურ ხვნას, მეფის ანუ ბერიკის მოკვლას.

დღესასწაულის მთავარ მოქმედ პირებს წარმოადგენენ თავ-ბერი (ბერიკა) იგივე მეფე, პატარძალი (კეკელა), რომლის როლს საქორწილო კაბაში გადაცმული ახალგაზრდა ვაჟი ასრულებდა; ნიღბები: ტახი, ცხვარი, ხარი; თათარი, ლეკი, მღვდელი, ნათლია, მებარგულები, მუსიკოსები.

ყველიერის დროს იწყებოდა მრავალდღიანი მსვლელობები. პროცესიის თავში თავბერი, იგივე მეფე და დედოფალი იდგნენ. მათ მოსდევდნენ მუსიკოსები და ხის ხმლებითა და ფარებით შეიარაღებული მხლებლები. იწყებოდა ოჯახების შემოვლა სიმღერებით ან რეჩიტატიული ფორმულებით, რაც ძღვენის მიღებით თავდებოდა. მსვლელობის დროს მოედანზე ან რომელიმე სახლის წინ ნეფე-დედოფალი ქორწილის ინსცენირებას აწყობდა, ცერემონია ცეკვა-თამაშითა და სიმღერებით სრულდებოდა.

შემდეგ ე. წ. არაბი და თათარი კლავდნენ ბერიკას (მეფეს), ხოლო დედოფალი იწყებდა მის დატირებას, სალამური „ბერიკულის“ სევდიან მოტივს ასრულებდა და მთელი ამალა დასტიროდა ბერიკას. მოკლულ ბერიკას წყალსასხამდნენ, სახეს უზელდნენ, მაგრამ მისი გაცოცხლება ვერ ხერხდებოდა. ამ დროს თათარი და არაბი იტაცებდნენ დედოფალს; ამ სამწუხარო ცნობაზე ბერიკა ცოცხლდებოდა და ხის ხმლით გამოედევნებოდა გამტაცებლებს. დედოფლის დაბრუნების შემდეგ ბერიკა განმეორებით აწყობდა ეროტიული ურთიერთობის ინსცენირებას მაშინ, როდესაც ყველა მონაწილე საერთო დროსტარებაში ერთვებოდა. მხიარულებაში აცილებდნენ ყველიერს და იწყებოდა მზადება დიდი მარხვისთვის.

**ნინო აბაკელია.**


ვინც 15 მარტამდე
მოასწრებს გამოწერას,
აპრილიდან ყოველკვირეულად
მიიღებს გაზეთს
„თავისუფალი
საქართველო“
ფასი 19 მან. 50 კაპ.
ინდექსი 66421


## გასწორება

„თავისუფალი საქართველოს“ ა. წ. 8 თებერვლის ნომერში გაიპარა რამდენიმე შეცდომა

1. მე-2 გვერდის მესამე სვეტში დაბეჭდილია — **100-ზე ოდნავ მეტი ხელმოწერა**; უნდა იყოს — **1000-ზე ოდნავ მეტი ხელმოწერა.**

2. მე-8 გვერდის პირველ სვეტში დაბეჭდილია: **მისი მიღებით საქართველოში, იურიდიულად შემოლებით ფაქტობრივად დასრულდა საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი**; უნდა იყოს: **მისი მიღებით საქართველოში იურიდიულად დასრულდა საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი.**


რედაქტორი მარიკა ამაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, ვერა კეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვერას კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-81-57
ინდექსი 66421
იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29
ფასი 50 კაპ.